№ 108
ქვირა, 3 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 108
ქვირა, 3 ივლისი

განცხადების ფასი: პეტიტის სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია მწუხარებით აუწყებს უდროვოდ დაკარგვას მუდმივ თანამშრომლის

კნიაჟნა სოფიო ირაკლის ასულის ციციშვილისას

პანაშვიდი დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დღეს 12 საათზე.

(1—1)

კვირას, 3 ივლისს, **გორის ქალაქის ბაღში,**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, გაიმართება

სეირნობა და ბაზარი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
მ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. გ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:
ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
გ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს (ავადმყოფთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს ...სქმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
...ხვა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
...ифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 18.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს საოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის
დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

„პრაქტიკული“ ოპორტუნიზმი

ცხოვრება დღითი-დღე ზვირთდება და წალეკას უქადის ყველა იმათ, ვინც ხალხის ინტერესების წინაალმდეგ მოქმედებდა. ამ საერთო მოძრაობაში, რასაკვირველია, ვერ დარჩება გვერდზე მაყურებლად ის ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომელმაც თავის თავს „ინტელიგენცია“ უწოდა. სულ ერთია, გულზე ხელს დაიკრებს ის და ისე შეჰყურებს ცხოვრების მოძრაობას, თუ საბრძოლველ კითხვების გამორკვევასა და გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებს,—ის მაინც ხალხისაგან უყურადღებოდ არ დარჩება და ღირსეულად დაფასებული იქნება.

რომ დაუკვირდეთ ჩვენი ინტელიგენციის დღევანდელ ცხოვრებას და ყოფაქცევას, შენიშნავთ, რომ ის რაღაც ფაცა-ფუცშია, რაღასაც ცდილობს, თითქო სურს პარტიებიც შეადგინოს, პროგრამები შეიმუშაოს და ხალხის ინტერესზე დამყარებული იდეური მოქმედება დაიწყოს. მაგრამ მას ამ მისწრაფებაში რაღაცა გაუბედაობა, გამოურკვევლობა, უპრინციპობა და უილაჯობა ეტყობა. ის ორსავე მხარეს იცქირება, არც ერთს არ ეკედლება გადაჭრით. მას არ სურს გაწყვიტოს ერთის მხრისკენ გაბმული ძაფი, არც სურს მეორე მხარეს ჩამოშორდეს. და ეს მისი ორჭოფობა, გაუბედაობა და გამოურკვევლობა მთელი მისი წარსულის შედეგია.

შეგვიძლია სინამდვილით ვთქვათ, რომ ჩვენში „ინტელიგენცია“ და მოხელეები ერთი და იგივეა. სახელები: „ინტელიგენტი“ და „მოხელე“ ჩვენს ცხოვრებაში სინონიმებად გადაიქცა. რისთვის სწავლობენ ჩვენში? რა მიზანი აქვს ახალ თაობას, როცა ის რამდენსამე წელიწადს სასკოლო სკამზე ზის და გაკვეთილებს ზეპირობს? მისი მიზანია—ადგილი, მოხელეობა. ეს არის იდეალი უმრავლესობისა და ეს უმრავლესობაც თავისებურ ელფერსა სდებს მთელს ჩვენ ,,ნასწავლთა‘‘ ცხოვრებას.

რასაკვირველია, ადვილი ასახსნელია ჩვენი სოციალურ-ეკონომიურ პირობებით მოხელეობის ტრფიალება, რომელმაც ასე ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენებურ ნასწავლთა ფსიხიკაში. მაგრამ დღეს ეს კითხვა ჩვენ არ გვაინტერესებს და გვსურს მკითხველის ყურადღება მხოლოდ საქმის იდეურ მხარეს მივაქციოთ.

ცხოვრებაში ამა თუ იმ ინტერესს შეესაბამება განსაზღვრული იდეური მისწრაფება. ინტერესების ერთობა ადამიანთა შორის ბადებს იდეურ ერთობასაც, საერთო იდეურ ფიზიონომიას. ამნაირად საზოგადოებაში ჩნდება ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია როგორც რეალურ ინტერესებისა, ისე იდეურ მისწრაფებათა მხრივ. რახან ჩვენი „ინტელიგენცია“ იგივე ჩინოვნიკობაა,—ცხადია, იგი ატარებს მოხელის იდეალს. ხოლო საზოგადოდ ბიუროკრატიული იდეალის დამახასიათებელი თვისება არის და იქნება, სანამ ბიუროკრატია არსებობს,—უფროსის მორჩილება, უმცროსის მბრძანებლობა. ამ სახით თავის თავად ბიუროკრატია არაა რაიმე დამუკიდებელ იდეალის მიმდევარი,—ის არის მხოლოდ განმახორციელებელი სხვის მოსწრაფებათა. და, რასაკვირველია, ამ განხორციელებაში ის იმდენად აქტიურ მონაწილეობას იღებს, რამდენადაც მისი მოქმედება მისთვისვე სასარგებლოა.

ასეთის მისწრაფებისაა საზოგადოდ ბიუროკრატიულ ატმოსფერაში აღზრდილი მოხელე, ამგვარ მოსაზრებით ხელმძღვანელობს იგი თავის მოქმედებაში. მაგრამ ჩვენებური, ქართველი მოხელე ბევრად აჭარბებს რუს ბიუროკრატს სამსახურისა და „ერთგულობის“ საქმეში. განსაკუთრებულ პირობების გამო, უფრო ადვილად შესაძლებელია ქართველ მოხელეს ეჭვის თვალით შეხედონ, შესაძლებელია მას არ ენდონ, თავის თანამემამულეთა მიმართ თანაგრძნობა, სიმპატია ან მიკერძება დასწამონ. და, აი, ეს რომ არ მოხდეს, ქართველი მოხელე ათასნაირად იგრიკება და ცდილობს, დაანახოს იმათ, ვისიც ჯერ არს: ფიქრი ნუ გაქვთ,—ჩვენისთანა მონებს ქვეყნიერობაზე ვერ იპოვითო...

ეს არც ისე დიდი უბედურებაა. შეიძლება, ხალხს ერთი ჯგუფი მოსწყდეს, შეიძლება ეს ჯგუფი სრულიად ხალხის წინაალმდეგ წავიდეს. აქ საშიში არაფერია: ხალხი შესძლებს თავის ორგულს საჭირო პასუხი გასცეს...

მაგრამ ჩვენი „ბიუროკრატ-ინტელიგენტი“ პირდაპირს გზას არ ადგია, თავის ნამდვილ არსების საჯაროდ გამომჟღავნებას ერიდება და ამგვარად შესამჩნევად აბრკოლებს საზოგადოების თვითშეგნებას. იგი არ ამბობს: მე ჩემს პირად გინდ ჩემი ჯგუფის ინტერესებს ვიცავ, მის იდეალებს ვუკმევ გუნდრუკს და ვემსახურებიო. არა, იგი აცხადებს, ჩემი იდეალი საქვეყნო იდეალია, ჩემი მისწრაფება სახალხო მისწრაფებაა, ჩემი მოქმედება ერთად-ერთი სწორი გზაა ჩვენი მომავლის შექმნისთვისო. აი, აქ კი უნდა ჩავუდგეთ მას კრიჭაში, კუდზე ფეხი დავადგათ და ხალხისკენ მოვახედოთ. საჭიროა მოვსთხოვოთ მას ანგარიში ხალხის წინაშე. როცა ასე მოვიქცევით,—დავინახავთ, რომ ჩვენის კულტურულ განვითარებისთვის მას ვნების მეტი არაფერი მოუტანია. იგი ცდილობდა ხალხი ყალბ გზაზე დაეყენებინა. საჭირო ბრძოლის მაგიერ მან შექმნა მოწყალების თეორია: ვითხოვოთ, თავი დაბლა დავუკრათ და მოგვცემენო. რომ ჩვენს თხოვნას ყურადღება მიაქციონ,—რაც შეიძლება, უფრო დავემსგავსოთ ჩვენს ბატონებს ყველაფერში, საჭიროა ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ არაფრით არ განვსხვავდებით მათგან, ჩვენ სხვა არაფერი გვინდა გარდა იმისა, რასაც ის გვიწყალობებსო.

და ასე ინტელიგენტ-ბიუროკრატთა მოქმედება შეიქმნა ხალხის კულტურულ განვითარების წინაალმდეგი, და დღეს ყველა უნდა ხედავდეს, რომ იგი იარაღია ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებისა. ქართველი მოხელე, მიუხედავად იმისა, რომ თავისი თავი საქართველოს მხსნელად მოაქვს, ფაქტიურად ეწინააღმდეგება იგი, გატაცებული იმ მისწრაფებით, რომ „უფროსებს“ თავი მოაწონოს, ვითომც გადაგვარდა და ხალხთან გონებრივი კავშირი შესწყვიტა.

ამნაირად, თუ ვისმე ეჭვი ებადება ჩვენი კულტურულ მომავლის შესახებ და ეშინიან, ხალხის რომელიმე ნაწილმა ჩვენის ხალხოსნურ ნაალმდეგება რადგან ხალხის კულტურულ თვითშეგნებას, იგი, გატაცებული იმ მისწრაფებით, ეჭვი და შიში — სავსებით ჩვენის გაბიუროკრატებულ ინტელიგენციისადმი უნდა იყოს მიმართული. ჩვენს კულტურულ განვითარებას შიში მოელის არა მარცხნივ, რომელიც საქმით და იდეით ერთია, არამედ—მარჯვნივ, იმ წრისაგან, რომელმაც თავის „პრაქტიკულ“ ოპორტიუნიზმით ყოველი საზოგადოებრივი მისწრაფება დაჰკარგა და ხალხს ჩამოშორდა...

ავგ. ბებელის აზრი მამულიშვილობის შესახებ

(ეროვნება —ინტერნაციონალიზმი — სოციალისტების მოვალეობა ომიანობის დროს—ეროვნული დამოუკიდებლობა აუცილებელი რამეა).

მამულიშვილობა მოითხოვს, რომ ყოველ ეროვნებას, საკუთარ ენის, ზნე-ჩვეულების და ისტორიის მქონეს, მიენიჭოს უფლება განვითარდეს ცალკე ერთეულივით და საკუთარი საქმეები თვითონვე განაგოს. მამულიშვილი ის არის, ვინც სცდილობს, კაცობრიობის საკეთილდღეოდ და გარეშე ერების უვნებლად, მოუპოვოს უმაღლესი კულტურა თავის მშობელ ერს, რომელშიაც დაბადებულა, რომელსაც დედა-ენით ან ზნე-ჩვეულებით ეკუთვნის! ადამიანი, რომელიც არა კერძო სარგებლობისა, ან მმართველ კლასსების გულისთვის, ემსახურება ამნაირ მიზანს, არამედ აზრად საერო სარგებლობა აქვს, ასეთი ადამიანი ყველასათვის უმაღლესი იდეალია...

ინტერნაციონალიზმი სრულებით არ მოითხოვს ეროვნების მოსპობას ან ერების ძალით გადაგვარებას, არამედ ითხოვს სხვადასხვა ერში მშვიდობიან დამოკიდებულების დამყარებას და გაძლიერებასაც. ცალკე ერის ეროვნულ ცივილიზაციასთან ერთად საერთაშორისო ცივილიზაციაც არსებობს, რომელშიც თანასწორად მონაწილეა ყოველი ერი, თავის ზნეობრივ ან გონებრივ განვითარების დაგვარად. ჩვენი საქმიანობა, სამეცნიერო, არტისტიული და სამრეწველო მოღვაწეობა, ყოველი ახალი აღმოჩენა და გამოგონება,—ყოველივე ეს უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო მისწრაფების გამომხატველად...

სხვადასხვა სახელმწიფოს სავაჭრო ან საზღვაო ხელშეკრულობა, სამეგობრო შეკავშირება, ყოველ ახალ აღმოჩენის მიმოცვლა, მუშათა მფარველი საერთაშორისო კანონდებლობა, საერთაშორისო მართლიერების განვითარება, უცხოელების მკვიდრ ხალხთან უფლებებით გათანასწორება, ჰუმანიტარულ მისწრაფებათა გაძლიერება, საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს შემოღება,—ყოველივე ეს ინტერნაციონალიზმის გამომხატველია, სხვადასხვა ეროვნებას ერთმანეთში აკავშირებს და აერთებს.

ეს ინტერნაციონალიზმი სოციალისტებს ავალებს—ებრძოლონ სხვა ერის დამორჩილების მისწრაფებას სახელმწიფოში, ერების მტრულ განცალკევებასაც ებრძოლონ, წინააღმდეგობა გაუწიონ საბაჟო ბრძოლას, სამხედრო მომზადებას ზღვასა და ხმელეთზე, ვინაიდან ყოველივე ეს ეროვნულ განხეთქილებას ამწვავებს და ომის დაწყებასაც ხშირად მიზეზად უხდება.

საერთაშორისო მისწრაფების დაგვირგვინება იქმნებოდა მსოფლიო პარლამენტი, რომელიც ყველა განათლებულ ერის წარმომადგენელთაგან შესდგება რომელმაც უნდა განაგოს ხალხის საერთაშორისო დამოკიდებულება და იგი თანდათან უფრო მჭიდრო და დაურღვეველი გახადოს.

მამულიშვილობა და ინტერნაციონალიზმი ამიტომ ერთმანეთის წინააღმდეგი როდია, პირიქით ორივე ერთმანეთს ავსებს საერთო საკაცობრიო ცივილიზაციის განსამტკიცებლად.

ზემოთქმული თავის თავად იძლევა პასუხს მეორე და მესამე კითხვაზეაც.

სოციალისტები ყოველთვის ზემოხსენებულ გზას უნდა ადგნენ ყველგან,—ამას უნდა ითხოვდნენ კრებებში, პრესსაში, პარლამენტებში...

სხვადასხვა ხალხში არსებულ განხეთქილების მოსპობა თუ არ შეიძლება ერთბაშად, თანდათან მაინც უნდა ვეცადოთ მის მოსპობას შემდეგში.

ორიოდე სიტყვით იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სოციალისტები ომის დროს, არ შეიძლება.

სოციალისტები ჯერ-ჯერობით ყველგან, ყველა სახელმწიფოსა და პარლამენტში, შეადგენენ უმცირესობას. სახელმწიფოების გარეშე პოლიტიკა უიმათოდ სწარმოებს ყველგან. ამიტომ სოციალისტების აშკარა მოვალეობაა შეძლებისა დაგვარად იქონიონ გავლენა მთავრობაზე ზემოხსენებულ მიზნების მისაღწევად.

მაგრამ სოციალისტების სურვილის წინააღმდეგ თუ დაიწყო ომიანობა,—ვალდებულნი არიან სვინდისიერად ასწონ-დასწონონ ამ ომის ნამდვილი მიზეზი.

მათი სახელმწიფოს მთავრობა თუ არის ომის დამწყები,—ომიანობისთვის საჭირო საშუალება უნდა მოუსპონ, მთელი თავისი ძალღონით უნდა სცდილობდნენ ეს ომი დასრულდეს მალე. მაგრამ, პირიქით, თვით მათ სახელმწიფოს თუ შემოესია რომელიმე გარეშე მტერი, თუ იგი თავის სურვილის წინააღმდეგ არის იძულებული დაიწყოს ომი, მაშინ სოციალისტებს არ შეუძლიანთ არ დაეხმარონ, ვინაიდან ომიანობის დროს ყველაზე უფრო ნაკლებად იტანჯება მთავრობა, ყველაზე მეტად თვით ერი.

როდესაც ომიანობას მიზნად სხვადასხვა სახელმწიფოს დაპყრობა ედება, როგორც, მაგალ. 1870 წ. სედანის ბრძოლის შემდეგ იყო, სოციალისტები ამნაირ მისწრაფებას წინ უნდა აღუდგნენ უთუოდ.

1870 წ., გერმანიამ რომ დაიწყო საფრანგეთთან ომიანობა, მე და ლიბკნეხტმა სრულებით არ მივიღეთ მონაწილეობა სამხედრო ხარჯების გაწერის საქმეში, ჩვენ მოვიქეცით ასე, რადგანაც ვიცოდით, რომ ეს ომი ბისმარკისაგან დაწყებულ პოლიტიკის აუცილებელი შედეგი იყო, რომ ჰოჰენცოლერნის წამოყენება კანდიდატად ესპანიის სამეფო ტახტისთვის მხოლოდ მიზეზი იყო, მიზეზი ომის დასაწყებად, რომელიც ბისმარკს ენატრებოდა ყოველთვის. მეორეს მხრივ, ფულის გაცემაზე უარის თქმაც არ გვინდოდა, ვინაიდან ამით თითქო ნაპოლეონის პოლიტიკას ხელს შევუწყობდით.

მაგრამ, როდესაც სედანის შემდეგ ჩვენმა მთავრობამ მაინც არ მოისურვა მშვიდობიანობა და ომი განაგრძო ალზას-ლორენის ჩამოსართმევად, ჩვენ, სოციალისტებმა, პირდაპირი და აშკარა წინააღმდეგობა გავუწიეთ ომიანობას,—რეიხსტაგში ერთხმად განვაცხადეთ უარი სამხედრო ხარჯზე.

მაშინ მთავრობას აზრად ჰქონდა საფრანგეთის ერთი ნაწილი ჩაეგდო ხელში, ის ნაწილი, რომელიც ოდესღაც, მართალია, გერმანელებისა ყოფილა, რომლის უმეტესი ნაწილი ახლაც გერმანულად ლაპარაკობდა. მაგრამ საუკუნოების განმავლობაში ამ ხალხის კულტურა, მისი ცხოვრება საფრანგეთისას დაუკავშირდა,—რომ ვკითხა მისთვის, უნდა საფრანგეთთან დარჩენა, თუ ურჩევნა გერმანელების ხელში გადასვლა,—ერთხმად საფრანგეთს მოისურვებდნენ. მართლაც, ყოველი ერი, ერის ყოველი ნაწილი თვითონ უნდა შეიქმნეს თავისი ბედის გადამწყვეტი დედამიწაზე.

საზოგადოდ ასეა, რომ ამა თუ იმ ერის ნაწილი სხვა ერის სახელმწიფო საზღვრებში რჩება გარეშესავით. გავიხსენოთ თუნდ პოლონეთის განაწილება. აგერ ას წელიწადზე მეტია მას შემდეგ, მაგრამ პოლონელები დღესაც კიდევ ვერ ივიწყებენ ეროვნულ დამოუკიდებლობის სიყვარულს, საამისო მისწრაფება მათში ხომ თანდათან იზრდება კიდეც. მხნე ერი, რომელსაც ართმევენ ენას, უხშობენ თავისუფლებისადმი მისწრაფებას და ამითი უძნელებენ ცხოვრებას, ყოველთვის ეცდება მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა, ვინაიდან მხოლოდ იგია მის თავისებურობის ნამდვილი უზრუნველ მყოფელი.

ისეთი გამონაკლი, როგორიც არის შვეიცარია სადაც გერმანელები, ფრანგები და იტალიელები მშვიდობიანად სცხოვრობენ ერთად, მხოლოდ ამტკიცებს საზოგადო კანონის სიმართლეს, ვინაიდან შვეიცარიაში არც ერთ ეროვნებას არ აქვს რამე უპირატესობა ან ბატონობა. პირიქით, ავსტრიაში ყველა ეროვნება ერთმანეთს ებრძვის, ვინაიდან ყველას უნდა გაბატონება და იქ რეაქციონერი მთავრობა მხოლოდ ამ ეროვნულ განხეთქილების წყალობით არსებობს.

ამიტომ ცხადია, რომ ომიანობის შემდეგ რომელიმე ერს თუ ჩამოშორდა ძალით მის ტერიტორიის რომელიმე ნაწილი, ან ამ ერზე თუ გაბატონდა მეორე ერი,—სოციალისტები იმის დაუხედავად რომ საზოგადოდ არ უყვართ ომი,—მაინც ვალდებულნი არიან თავიანთი ძალ-ღონე სამშობლო ტერიტორიის დაცვას შესწირონ, ესე იგი უნდა დაიცვან თავიანთ ეროვნების ტერიტორია, რომელსაც დამონება მოელის.

წარმოვიდგინოთ, რომ გერმანია ებრძვის საფრანგეთს ახალ პროვინციების ჩამოსართმევად,—რასაც ამჟამად თვით სოციალისტების მოწინააღმდეგენიც აღარ ფიქრობენ,—ჩვენ არა თუ განვაცხადებთ უარს სამხედრო ხარჯზე და ვეცდებით ამ საქმის ჩაშლას,—არა! ჩვენ იმასაც ბუნებრივად ჩავთვლით, თუ გაბატონების მოსურნე გერმანელების განსადევნად საფრანგეთის საზღვრებიდან საფრანგეთის სოციალისტები ამხედრდებიან ერთობით.

ამა თუ იმ ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ჰკიდია სოციალისტურ მოძრაობის ნორმალური განვითარებაც. როდესაც ერი დამონებულ-შევიწროვებულია, კლასსიური სხვადასხვაობა, კლასსიური ბრძოლა ბნელდება, ხდება მკრთალი, შეუმჩნეველი.

მგონია, რომ აქ ნათლად გამოვარკვიე, რა აზრისანი არიან სოციალისტები ეროვნულ და საერთაშორისო საკითხის შესახებ და რა გზას უნდა დაადგნენ, თუ შეხვდათ ომიანობა.

ავგ. ბებელი.

გაზ. „რუსსკია ვედომოსტის“ აზრი ახლანდელ მდგომარეობის შესახებ

ერთის მხრივ—დამარცხება მუკდენთან და ცუსიმას კუნძულთან, მეორეს მხრივ კი—არეულობა ლოძში, არეულობა ივანო-ვოზნესენსკში და სხვაგანაც. პირველის შეხედვით, ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან საერთო არაფერი არა აქვს, მაგრამ ნამდვილად კი ორივეს ერთი და იგივე წყარო აქვს, ორივე მოვლენა თანასწორად ამტკიცებს, რომ ბიუროკრატიას საქმის გაძღოლა არ შეუძლიან.

ბიუროკრატიას უდიდესი უფლებები აქვს ხელში, მაგრამ ამ უფლებებს იგი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ არ ხმარობს; ამ უფლებებით იგი სცდილობს მხოლოდ თავის გაძლიერებას სახელმწიფოში, ნამდვილად კი ხალხისთვის მისი მოქმედების ნაყოფი არა სჩანს არსად.

მართლაც, რას ვხედავთ? ყველგან, სადაც საჭირო იყო, ბიუროკრატია ან უმოქმედოდ იყო გაჩერებული, ან, პირიქით, ნამეტანსაც შვრებოდა და ბოროტად ხმარობდა უფლებას.

გავიხსენოთ თუნდ ლოძისა ან ივანოვო-ვოზნესენსკის შემაძრწუნებელი ამბები. რა ზომა მიუღია ბიუროკრატიას იმისთვის, რომ შეეცვლილო არეულობის გამომწვევი მთავარი მიზეზი,—ნუ თუ არ იცოდა ბიუროკრატიამ, რომ პოლონეთში, სადაც ხალხი უფრო განვითარებულია, ვიდრე შუაგულ რუსეთში, არ შეიძლებოდა

ცხოვრებისთვის იმავე პირობის შერჩენა, რომელიც შუაგულ რუსეთში არსებობს ამჟამად? თუ არ იცოდა, რომ პოლონელები ვერ შეურიგდებოდნენ იმ წყობილებას, რომელიც შუაგულ რუსეთში არსებულ თვითმართველობის ნასახსაც მათ არ აძლევდა? ნუ თუ იმდენად ყრუ იყო, რომ არ ესმოდა უკმაყოფილო ხალხის გმინვა? არ ესმოდა, როგორ თანდათან იზრდებოდა ხალხის გაბრაზება, როგორ ემზადებოდა ხალხი თავისუფლების მოსაპოვებლად?

მართალია, ხალხის უკმაყოფილება გაზეთებში არა სჩანდა, მაგრამ ამის მიზეზიც ხომ ყველასათვის ცხადია,—ცენზურა.

არა, გონიერი ადამიანი წინდაწინვე მიხვდებოდა, რომ ხალხი მოითხოვდა უფლებებს; ამას ვერ მიხვდა მხოლოდ ბიუროკრატია და, როცა ხალხმა მართლა მოითხოვა შესაფერი უფლება, ბიუროკრატიამ სხვა ვერა მოახერხა-რა,—ძალას მიჰმართა, თუმცა ვიცით ყველამ, რომ ძალას მხოლოდ წინააღმდეგობის გამოწვევა თუ შეუძლია, რომ მათრახი მხოლოდ აბრაზებს ხალხის უმეტესობას.

გზა-დაბნეულივით მოქმედობს ამჟამად ბიუროკრატია: აღარ უყურებს კანონიერებასა, თუ უკანონობას, ბოროტად ხმარობს თავის უფლებებს, ივიწყებს, რომ მის მოქმედებას მხოლოდ მოძრაობის გაძლიერება მოჰყვება, რომ თანდათან იზრდება ის ძალა, რომელმაც, დღეს თუ ხვალ უნდა მოუღოს ბოლო ბიუროკრატიის ძალმომრეობას.

ნუ დავივიწყებთ, რომ ზოგან უხმარიათ იარაღი იქ, სადაც „მტერი“ უკვე გაქცეული იყო, რომ ესროდნენ გარეშე ხალხს (Krai № 24).

რას უნდა მოველოდეთ შემდეგში იმათგან, ვინც ახლა ვერ ახერხებს საქმეების რიგიანად გაძღოლას? შესძლებს თუ არა ბიუროკრატია სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებას? ვერა, ვერ შესძლებს, და ამიტომაც არის საჭირო, ისეთ წყობილების დამყარება, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას თვით ხალხი, მისგან არჩეული წარმომადგენლები, ამ წარმომადგენელთა საერო კრება.

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

1 ივლისი.

ბათომი, 1 ივლისი. გაფიცვები გათავდა. ქალაქში სიწყნარეა.

იალტა, 1 ივლისი. სამოსწავლო მმართველობის განკარგულებით, მასწავლებლების ყოველგვარი კრებები აკრძალულია.

აჯიკენტი, 1 ივლისი. შუშაში გაძარცვეს ერთი ჩინოვნიკი, რომელსაც ხაზინაში შესატანად ფოსტიდან ფული მიჰქონდა. წაიღეს ოთხი ათას თუმანზე მეტი.

ლონდონი, 1 ივლისი. საშინლად გაჰკიცხეს პარლამენტმა და პრესამ ბალფური, რომელმაც უსამუშაოდ დარჩენილთათვის სამუშაოს გამოსაძებნელად შემუშავებულ კანონ-პროექტზე უარი განაცხადა. მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა კრთხელ კიდევ გააფრთხილეს ბალფური და აღნიშნეს, რომ, შეიძლება, დიდი არეულობა მოხდესო. მომავალ კვირას უსამუშაოდ დარჩენილ ქალების დიდი დემონსტრაცია მოხდებაო. ქალების დეპუტაცია ბალფურთან მივა და კანონ-პროექტის მიღებას სთხოვს.

ბელგოროდი, 1 ივლისი. „პეტერბურგის სააგენტოს“ ცნობა, ვითომც ბელგოროდის მაზრაში არეულობა ყოფილიყოს, ჯერ არ მართლდება. ქალაქის ცხოვრება ჩვეულებრივად მიდის.

სიმფეროპოლი, 1 ივლისი. „პეტერბურგის სააგენტოს“ ცნობა, ვითომც ტავრიდის გუბერნატორი მისდამი რწმუნებულ გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის გაუქმებას ითხოვსო—სიცრუე გამოდგა. ეს შუამდგომლობა ქალაქებმა და ერობამ აღძრეს და არა გუბერნატორმა.

ოდესა, 1 ივლისი. ქალაქის მოურავმა ქალაქის საბჭოში წინადადება შეიტანა, 3,000 მანათი გადვდოთ გაჭირვებულ-დაშეულ ხალხისთვის იაფ-სასადილოების მოსაწყობად და 4,000 მანათი—საზოგადო სამუშაოსთვისო.

ოდესის ნავთსადგური უკვე გაიხსნა გემების დასატვირთავად. მალე მგზავრების მიმოსვლაც დაიწყება. უცხოელ მოვაჭრე-სოვდაგრით, ვინც კი ნავთსადგურში გაჩენილ ცეცხლით დაზარალებულა, საკონსულოებს მიჰმართეს, გვიშუამდგომლეთ, რომ რუსეთის მთავრობამ ჩვენი ზარალი აგვინაზღაუროსო.

პეტერბურგი. რუსეთის სტრანსპორტო და დამზღვევი საზოგადოება აცხადებს, რომ ოდესაში მიმოსვლა განახლდა. საზოგადოებამ გადასაზიდ საქონლის და ამანათების მიღება უკვე დაიწყო ოდესისა და ნიკოლაევისკენ.

ხარკოვი, 1 ივლისი. ცეცხლმა სოფელი შვეიცარია სულ მთლად გაანადგურა.

სუმი, 1 ივლისი. გლეხთა მოძრაობის მიზეზების გამოსარკვევად გენერალი სტრუკოვი მოვიდა.

იალტა, 1 ივლისი. სევასტოპოლის ჭლექთან მებრძოლმა საზოგადოებამ ანტონ ჩეხოვის სახსოვრად სამკურნალო, პანსიონი და სანატორია დააარსა.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 1 ივლისი. მუშაობა განახლდა. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

სამარა, 30 ივნისი. ბოქაულის თანაშემწეს რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს. ბოროტმოქმედი დაიჭირეს.

დმიტროვსკი, 30 ივნისი. სხდომის პირველ დღეს დოლბენის მამულის შესახებ 127 მოწმიდან 7 მოწმეს მოუსმინეს; აღმოჩნდა, რომ გლეხების უკმაყოფილების მიზეზი მოურავების სიჭიელი ყოფილა: მოურავები, თურმე, გლეხებს ხშირად თავის ნებით აურებელ ჯარიმებს ახდევინებდნენ. მოწმების გამოკითხვა რამდენიმე დღე გაგრძელდება.

ალექსანდროვსკი, 1 ივლისი. მაზრიდან აურებელი წარმომადგენელი და კერძო პირები მოდიან სიონისტთა დიდს კრებაზე დასასწრებად.

ბელგრადი, 1 ივლისი. დაბადების დღის გამო მეფე პეტრემ ოფიცრები მიიღო და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ჯარში უსათუოდ თანხმობა უნდა იყოსო. რადგანაც ტახტის მემკვიდრე სრულ-წლოვანი გახდა, ამ დღის აღსანიშნავად, სამსახურში დააბრუნებენ იმ ოფიცრებს, რომლებიც მეფე ალექსანდრეს მოკვლის შემდეგ დაითხოვეს, როგორც მისი მომხრენი.

ბელოსტოკი, 1 ივლისი. მუშაობა დაიწყო, ქალაქში სიწყნარეა.

ვეფლე, 1 ივლისი. გუშინ საღამოს იახტა „ჰოგენცოლერნ“-ზე მეფე ოსკარს პატივსაცემლად ნადიმი გამართა, რომელსაც რვა კაცი დაესწრო. დღეს მეფის იახტაზე ვილჰელმს პატივსაცემლად საუზმე გაუმართეს. შემდეგ მეფე და კრონ-პრინცი სტოკჰოლმს გაემგზავრნენ.

ვენა, 1 ივლისი. (ბიუროს კორესპონდენცია). მოქალაქეთა პალატამ გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების კანონ-პროექტი მოიწონა. პროექტი მთავრობას ავალებს შვეიცარიასთანა და ბულგარიასთან სავაჭრო განწყობილება დროებით მოაწესრიგოს.

პარიზი, 1 ივლისი. ლონშანში, ჯარის დათვალიერების შემდეგ, 14 სტუმრისთვის საუზმე გამართეს. საუზმეზე ბრესტიდან მოსული ინგლისელები დაესწრნენ. პროვინციათა ცნობებიდანა სჩანს, რომ ესე ივლისის დღე დიდებულად და აღფრთოვანებით იდღესასწაულეს. ჯარის დათვალიერება ყველა დიდს ქალაქებში ბრწყინვალეთ და ჩინებულად მოხდა.

პეტერბურგი, 1 ივლისი. ოფიციალურად. „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია, წინანდელ ცნობის შესავსებად, რომ ლოძში მომხდარ არეულობის დროს 5—12 ივნისამდე მოკლული 151 კაცი ყოფილა, დაჭრილი—185.

პარიზი, 1 ივლისი (ჰავასი). დუბუას და სამხედრო მინისტრმა ეროვნულ დღესასწაულის გამო ლონგშანში ჯარი დაათვალიერეს, რასაც დაესწრო ინგლისის ესკადრის უფროსი, რომელიც ბრესტში მოვიდა.

პარიზი, 1 ივლისი. დეპუტატთა პალატაში გუშინდელ კრებაზე ლაზი მკაცრად მოექცა ამნისტიის პროექტს და ანდრეს. ბრისონმა პროექტზე უარი განაცხადა. ანდრეს შეურაცხყოფისა გამო ბერტომაც უკან წაიღო თავისი თანხმობა პროექტზე. კრება 1 საათზე შესწყდა. შემდეგ რუვიემ პალატის სესია დასურულად გამოაცხადა. სენატმა 4 პირდაპირი გადასახადი შეიწყნარა, რის შემდეგაც რუვიემ კრება დახურა. კაბინეტმა გადასწყვიტა, ვინც კი ამნისტიის პროექტშია მოხსენებული, პასუხის გებიდან ყველანი გაგვანთავისუფლოთო.

ლონდონი, 1 ივლისი. ბალფურმა გააგის მეორე კონფერენციის გამო შეკითხვაზე უპასუხა, მთავრობა რუზველტის წინადადებას ეთანხმება. ამასთანავე მთავრობამ უფლება შეირჩინა, იმის გამოსარკვევად, თუ რა საკითხები უნდა განიხილოს კონფერენციამ. ამ ბოლო ხანებში მოლაპარაკება არა ყოფილა-რა. რობერტსის განცხადების საწინააღმდეგოდ სამხედრო მინისტრმა ფორსტერმა ლორდთა პალატაში განმარტა, რომ ჯარში გაუმჯობესება მოხდა, სხვათა შორის, 308 ახალი სწრაფ-მსროლელი დავუკვეთეთ, რომელიც წლის დამლევამდე მზად იქნებაო.

პეტერბურგი, 1 ივლისი. ლენქორანში საეჭვო ავადმყოფობის შემთხვევა ხოლერა არ გამოდგა. „ბირჟევ. ვედომოსტ“-ში დაბეჭდილი ცნობა, ვითომც, 23 ივნისს, კავკავის რკინის გზის ვაგონში ხოლერით გარდაცვლილიყოს ვინმე—არა მართლდება.

პეტერბურგი, 1 ივლისი. რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, რუსეთის მხრივ დაინიშნა: ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ტიმირიაზევი, სამრეწველო განყოფილების გამგე—ლანგოვოი, დამოყნის დეპარტამენტის დირექტორი—ბელიუსტინი, მედვინეობის ინსპექტორი—მარტინოვი, სამიწად-მოქმედო სამინისტროს წევრი—პოლენოვი, მიწად-მოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი მასალსკი, საქმეთა საბჭოს წევრი—ბერტენსონი, გარეშე საქმეთა მეორე დეპარტამენტის დირექტორი—ბენტკოვსკი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი—ტაუბე: რწმუნებულთა პირველი კრება, შესაძლოა, 4 ივლისს მოხდეს, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით. შესდგა კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს, რომ სამრეწველოებს ნავთი არ შემოაკლდეთ, ნავთის მოზიდვების გასაფართოვებლად ახალი ადგილები დაანიშნოს.

* * *

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

1 ივლისი

ბერლინი, 30 ივნისი. „კელნის გაზეთი“ ვიტტეს რწმუნებულად დანიშვნის შესახებ აღნიშნავს, რომ რუსეთს ამით უნდოდა ეჩვენებინა ყველასათვის, რომ რუსეთს ნამდვილად უნდა მოლაპარაკება ზავით დასრულდეს.

ვიტტე დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, მოლაპარაკებას პრაქტიკული შედეგი მოჰყვებაო, რწმუნებულობას არ იკისრებდაო.

შანჰაი, 30 ივნისი. ჩინეთის ფოსტის მართველობა აცხადებს, რომ ნიუჩჟუანიდან მანჯურიის სხვა ქალაქებთან მიმოსვლა სრულიად შესწყდაო.

ტოკიო, 30 ივნისი. 27 ივნისს მიკადომ წერილი გაუგზავნა მეფე ედუარდს და ულრმესი მადლობა გამოუცხადა იმ სტუმართ-მოყვარეობისთვის, რომელიც მან პრინც არისუგავას ინგლისში ყოფნის დროს გამოიჩინა.—პეკინელ კორესპონდენტს გაუგია, რუსის კაპიტანი კაზაკოვი ჯარით ლხასისკენ აპირებს გამგზავრებასო. ხელმწიფე იმპერატორმა დალაი-ლამას ბრილიანტებით მოჭარგული სამაჯური გაუგზავნა საჩუქრად.

ტოკიო, 30 ივნისი. იაპონიის საიმპერატორო სახლობამ კორეის გარეშე სესხის ნახევარს მოაწერა ხელი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 1905 წ. 30 ივნისის თარიღით: „გენერალი ლიაპუნოვი მაუწყებს 29 ივნისის თარიღით, რომ 28 ივნისს ელანიუსა და ვლადიმიროვკას შუა ბრძოლა გვქონდაო. ბრძოლა ხელ-ჩართულ ბრძოლად გადაიქცა, და მეტად ცხარე ბრძოლა იყოო“.

მარსელი, 1 ივლისი. ცნობა მივიღეთ, რომ მიუხედავად ჩინეთის პროტესტისა, იაპონელები ტელინისა, ტონკინისა, ლიაოხესა და მუკდენის მიდამოებში მანდარინებს ხარჯის აკრებას არ ანებებენო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონელების საომარი სიმღერა. იაპონელების გასაცნობად და იმის შესატყობად, თუ როგორ უყურებენ ისინი თავიანთ მოწინააღმდეგეს ახლანდელ ომიანობაში, საინტერესოა მათის საომარ სიმღერის წაკითხვა, რომელიც იაპონელების ცნობილმა გენერალმა ფუკუშიმამ გამოსთქვა. აი, ეს სიმღერაც, რომელიც რუსულ გაზ. „ნაშა ჟიზნში“ მოყვანილი:

„არის დედამიწაზე ერთი დიადი სახელმწიფო, ამ სახელმწიფოს დროშა ამომავალ მზის სხივებით არის მორთული; მის საზღვრებში ორმოცდა-ათი მილიონი ცხოვრები არის.

„ჩვენს სამშობლოში ხალხი [illegible], სამართლიანი... იაპონელი ყოველთვის მისდევს კანონიერებას, იაპონელი ყველგან მხნეობას იჩენს. რას დააკლებს ასეთ ხალხს მისი ახლანდელი მტერი,—რუსები?..

„რუსები ყველგან სცდილობენ თვალთ-მაქცობით ან მოტყუილებით გაირიგონ საქმე და [illegible] დამ სხვის ქონების დასაჭერად მიიწევიან, სხვის დამონავებას სცდილობენ, მაგრამ იმათი [illegible] უმწეოს, ანადგურებენ უდანაშაულოს, ყოველგვარ სიტანჯველში აგდებენ მართალს.

„ქალებზე ძალას ხმარობენ, ნამუსსა ხდიან, დედის მკერდზე მტირალა ბავშვებსაც არ ინდობენ... მათი სიმხეცე, მათი ბარბაროსობა ყველამ იცის, ყველამ გაიგო ამჟამად—რა არის რუსი...

„რუსების ქვეყანა დიდია სივრცით, მაგრამ [illegible]ლურიც არის. სად არის მათში განათლება! მათი სამშობლო ყვავის ბუდესა ჰგავს, მოუწყობელი და უვარგისი. ას ორმოცდა ათი მილიონი მცხოვრები რას იზამს,—სამოც სხვადასხვა მოწინააღმდეგე ეროვნებად დაყოფილია.

მათის დიდების დედაბოძი მუდამ კაზაკთა რაზმი ყოფილა, მაგრამ ახლა ეს რაზმიც მისუსტდა, აღარ ვარგა, არარად ქმნილა. ამომავალ მზის სხივებში დნება ყინული და ასე დნება ჩვენს წინაშე რუსების ჯარი.

„წინ მედგრად, ძმებო! გაბედულად“! და შეუპოვრად! წინ! მიჰქრის ცხენი, ჰაერს აპობს მიექანება... ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძვით და ამიტომ არ გვაშინებს მტერი, ვიცით, რომ ასეთი ომი ჩვენთვის სასახელოა.

„მტრის სიმაგრეებს იერიშით ავიღებთ, ურალის ქედამდის მივიტანთ ეროვნულ დროშას და ჩვენს მტერ-რუსებს გადავრეკავთ მოსკოვისაკენ.

„მთელს დედამიწას გავაგებინებთ იაპონიის დიდებას. დეე, შეიტყოს ყველამ, რომ იაპონია ძლიერი სახელმწიფოა. ჯერ გავიმარჯვებთ,—ზავზე ლაპარაკი მერეც მოვასწრობთ, ეხლა არა დროა...

* * *

იაპონელები სახალინზე

52 წელიწადია, რაც სახალინის კუნძულის ჩრდილო ნაწილი რუსეთს ეკუთვნის, ხოლო ამ 30 წლის წინად კუნძული მთლად დაიპყრო. ჩვენ ბატონობას მდიდარ კუნძულზე, რომელიც რუსების მმართველებმა „სიკვდილს სამყაროდ“ გარდააქციეს, ბოლო ელება, იაპონია ეპატრონება.

როჟესტვენსკის ფლოტის განადგურებამ, იაპონიას სახალინზე სანავარდოდ ფრთები შეასხა. მან კომანდირის კუნძულებს ხარბად წაავლო ხელი, თუმცა ეს კუნძულები წარსულის წლიდან ინგლისის მფარველობას დაექვემდებარა.

ინგლისელებს ეს კუნძულები ყაჩაღ-მძარცველთაგან უნდა დაეფარა, ძვირფას კვერნებზე ნადირობა უნდა აელაგმა, იაპონიის გალაშქრე-

ფელეტონი

,,აღდგომის'' ზარი

,,აღდგომის“ ზარი, ,,აღდგომის'' ზარი!—
სულს აფრთოვანებს და ძალას მატებს;
იგი უძლურსაც ძლიერად შეიქმს,
აკაჟ-ფხიანებს, აანდამატებს...

—

,,აღდგომის'' ზარი, მასთან ეს წამი
თვით დიდებულზე დიდებულია
და, ვით შედეგი თავის მიზეზთან,
იგი წარსულთან გადაბმულია!..

—

რაც ისტორიის დიად კანონით
დღეს ყველას ვალად დაგვკისრებია,
იგი წინაპარს არა თუ ცხადად—
მხოლოდ ოცნებით თუ ღირსებია!..

—

ეს იმ წინაპარს, რომლის ნაბიჯიც
სისხლით ირწყოდა თითოეული
და თავ-განწირვით კლდეს ეხლებოდა
ბოლოს ხელ ძალა-გამოლეული!..

—

მარა მის გმირ სულს თან მიჰყვებოდა
ის სანეტარო, დიადი რწმენა,
რომ დაჰკრავს ჟამი და მის ნავალ გზას
ალბეჭდს მთლად ერის ამ გზითვე დენა!..

—

დღეს, ვის სიცილათ არა ყოფნიდა
ის თავ განწირვით სულის კვეთება—
თვით აღიარებს: სწორეთ აქ არის
ჩვენი გარდაქმნა, გადაკეთება!..

—

დიაღ, დღეს განგებ და მოტყუებით
ველარვინ ხუჭავს ძველებურათ თვალს
და მრავალ ბრალთან შეკავშირებით
ერის ტკივილიც ითხოვს სამართალს!..

—

ამ დიად მიზანს დღეს უგუგუნებს
,,აღდგომის'' ზარი—ხმა სანეტარო,
რომლის ხმაზედაც შეტორტმანებით
პირქვე ემხობა კერპთა სამყარო!..

დ. ჭოლეველი.

ს ა ლ ი კ ლ დ ე

(ძველი კლდე)

ფრიალო, ხავს-მოკიდებული და დროთა ვითარებისაგან გაყვითლებულ-გაშავებული, იგი გულშემზარავ სიამაყით გადმოყურებს მის ფეხ-ქვეშ განრთხმულ არე-მარეს.

მისი ციცაბო წარბ-მრისხანე კედლები ბნელ სუდარად გადაფარვია მის საფეხურთან გაშლილ სოფელს, რომელსაც ხან გრგვინვა ქუხით ემუქრება, ხან ნიაღვრითა და წარღვნით... ხშირად ჩამოზვავებულა მისი რისხანება სოფლად და თან ჩამოუტანია კლდის ნალექი ქვიშა და სილა, რომლითაც მთელი სოფელი კარ-მიდამოებიანათ წაულეკია, გაუნადგურებია... აწიოკებული სოფლელნი ხატსა და ჯვარს აბრალებენ,—კლდის რისხვა ღვთის წყრომად მიაჩნიათ; ეს წყრომა, ალბად, გამოწვეულია ცოდვილ ადამიანთაგან... არის ხშირი მარხვა-ლოცვა...

არავინ ისმენს.

პიტალო კლდის გვერდებზე ვერა მცენარე ვერ ხარობს, იქ ფესვს ვერაფერი ვერ იკიდებს, თუ სახეში არ მივიღებთ შიგა-და-შიგ მის ნაოჭ-ღარებში ამოსულ ხავსს, რომელიც მას გრძელი მატყლივით ჩამოჰკიდებია.

კლდის ციცაბო კედლებიდან მრავლად გადმოიყურება სხვადასხვა ზომისა და სივრცის გვირაბები.—ამათში ბუდობენ კლდის ონავრები: ძერა, სვავი, არწივი, ორბები და სხვანი... ესენი დღე-მუდამ სოფლისაგან ხარკს იღებენ სხვადასხვა ფრინველებითა და ცხოველებით.

კლდის ძირში ღრანტე-ხევებში ბინადრობენ მგლები, დათვები, ფოცხვერები და სხვ. ესენი მფრინავ ონავრებთან ერთად გლეჯენ და აწიოკებენ სოფელს!..

სოფელს გულხელი დაუკრეფია, დაღვრემილი შესცქერის ცას და იქიდან ხსნასა და შველას მოელის!..

ნამეტნავად შიშის ზარსა სცემს სოფელს არწივის ბღვრიალა თვალები, ბასრი და მახვილი ნისკარტი. უკანასკნელ დროს ამ არწივს, სოფლელთა წარმოდგენით, მეორე თავიც მიმატებია!.. წმინდა და ხელ-შეუხებელია მისი სამყოფი ბუდე! გარდა ძერა-სვავებისა, იქ თავს ვერვინ შეჰყოფს... ესენი უფრო მაშინ ეტანებიან, როცა აქ საკორტნი ლეში და სახრავი ძვლები ეგულებათ; საკორტნ-სახრავი კი იქ მარადის უხვადაა...

სოფლელთ კლდისა და მის ონავართაგან რისხვა-რისხვაზე ემატებათ.—ამას წინად კლდემ დაიქუხა, ქვითა და კოხით იერიში მიიტანა სოფელზე და გაანადგურა იგი.—ქოხები მიანგრმოანგრია, მცხოვრებნი ნიაღვარს მისცა და ბოლოს ძერა-სვავები მიუსია.—ამ დროს ვიღაც ქადაგად დაეცა და გაიძახოდა: ,,თუ ყოველ წელს კლდის ონავარს და მის წმინდა სადგურს ოჯახის თავზე თითო სული—პირველი შვილი—არ მიართვით,—საშინელი უბედურება მოგველის!—კლდე შუბლს იკრავს, წარბებს ჰმუხნის და მეწყერი აუცილებელიაო.

შეძრწუნდა სოფელი, ყველა შიშის ზარმა აიტანა, შეიქნა საერთო გლოვა და მწუხარება!.. რას იზამდნენ?—განაჩენი უცვლელად მიიღეს... ამასთანავე დაუწყეს ძებნა ,,ცოდვილს'', რომელმაც ეს რისხვა გამოიწვია.—ცოდვილები ბევრი აღმოჩნდნენ. წაავლეს ამათ ხელი და სასტიკი წვალება მიაყენეს...

მარა დახეთ ცხოვრების ჩარხის ტრიალს!—ამათი რიცხვი სოფლად თანდათან გაიზარდა! ,,ურწმუნონი'' და ,,ღვთის უარმყოფელნი'' გამრავლდნენ!.. ერთ ამათთაგანს—ქვის მტეხელ მუშას, დიდი ხანია, ფიქრადა აქვს კლდეს გვერდები ჩამოამტვრიოს და სახლის საშენ მასალად გამოიყენოს... ასეთ მუშათა რიცხვიც მალე გაიზარდა. ესენი კბილებს უსინჯავენ კლდის ფრიალო გვერდებს, უნდათ მისი საშენ მასალად გამოყენება... ხედავენ, რომ ეს „წმინდა კლდე“, მტაცებელ ონავართა საბუდარი, სასტიკ და მრისხანე კედლად ჩამდგარა სოფელში, შუა გაუყვია მისი საერთო ძალღონე და ჯალათად დადგომია მის სიცოცხლეს, მის მოძრაობას, მისწრაფებას... „ურწმუნოთა“ გუნდი ხედავს, რომ სოფელში ქოხები აღარ მოიძებნება—ესენი ყველა კლდის რისხვამ იმსხვერპლა, ჩანთქა... აქვე კი საშენი მასალა აუარებელია!.. „ურწმუნონი“ იერიქონის საყვირით გაიძახიან: „ძმებო! თავს ნუ იღუპავთ! კლდის ონავრებს შვილებს ნუ სწირავთ! ამით ის უფრო გალაღდება, გასუქდება, ძალას მოიცემს და სოფლის აწიოკება-განადგურებას უფრო ადვილათ შესძლებს!..

შეუწყვეტელმა ხმამ თავისი გაიტანა—სოფელი გამოფხიზლდა... ეჭვი შეიტანა კლდისა სიწმინდე-ხელშეუხებლობაზე... საუკუნეებით ძვალსა და რბილში გამჯდარი რწმენა შეირყა... შემცირდა... სრულიად გაქრა!..

საერთო უბედურებამ ყველას აგრძნობინა „წმინდა“ კლდის დამხობის აუცილებლობა, იმ კლდისა, რომელშიც ონავრებს შეჰქონდათ სოფლის ნაწვავ-ნადაგი!.. შეგნებამ თავისი გაიტანა და ყველამ ხელი მოავლო წერაქვს, ბარს, ნიჩაბს, ბერკეტს...

„ძირს კლდე! გაისმა კიდით კიდე...

„ბუ!“—იქუხა კლდის გვერდში ლაღუმმა... „ბუ“!—იქუხა მეორედ, მესამედ, მეხუთედ... ამას გამოეხმაურა მთა და ველი. გაჩაღდა მუშაობა... შეირყა კლდე, შეინგრა მისი გვერდები, გადმოგორდა ქვა ქვაზე, ლოდი ლოდზე... მუშამ და ლაღუმის ძალამ გასტეხა პიტალო კლდის სიმტკიცე, განადგურდა ორბების და სვავების სადგომი, ხვრელ-გვირაბები, მათი ბარტყები კლდეს მიანარცხეს... მოტეხილი ქვა მუშამ გაკუთხა, გამოწვერა და სოფლად კოხტა და მკვიდრი ქვითკირის შენობები გაიმართა!..

გაჰქრა შიში და ძრწოლა...

გაჩაღდა ცხოვრება...

სოფელმა თავისუფლად ამოისუნთქა, იგემა ნექტარი ახალი ცხოვრებისა და, გამარჯვებულმა, არწივის ნაბუდარზე აღმართა საშვილიშვილოდ თავისუფლების ემბლემა...

დ. თომაშვილი.

მ ე ო რ ე ღ ა მ ე ს

(ესკიზი)

ღამის რვა საათი იყო. ცა შავ ღრუბლებს შეესუდრა და წვიმის წვეთები ფანჯრის მინებს გამუდმებით ეცემოდა. მისი ერთგვარი და შეუწყვეტელი ტკა-ტუკი ლურსმებივით უვლიდა ნინოს აღელვებულ გულს. ნინო შუბლით მიყრდნობოდა ფანჯარას და შორს, სივრცეში გაიყურებოდა: ვიღასაც მოელოდა. იგი ყურადღებას არ აქცევდა მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ყმაწვილს.

სვიმონი სკამის მიაჯირს მიჰყუდებოდა და აღზნებულის თვალებით ნინოს მისჩერებოდა.

— ნინო! პირს რად მარიდებ, რატომ არ გინდა თანამიგრძნო... ნინო!..—ვეღარ მოითმინა ყმაწვილმა და აღელვებით გამოეხმაურა.—რად სთელავ ფეხით ჩემს წმინდა გრძნობას?.. ნუ თუ არ გჯერა ჩემი გულწრფელი სიტყვები? ნუ თუ არა ხარ დარწმუნებული ჩემს სიყვარულში?!

ნინოს აღელვება დაეტყო, მაგრამ ხმა არ გასცა. ყმაწვილმა კი განაგრძო:

— რაკი ჩვენ ერთი წოდებისანი და ერთი მიმართულებისანი არა ვართ, რათა გგონია, რომ შენი სიყვარული არ შემეძლოს?.. მეცა მაქვს გული, გრძნობა.—ნუ თუ არ შეიძლება მომწონდე?.. ნუ თუ არ შემიძლიან დავაფასო შენი გარეგნული თუ სულიერი ღირსებანი?

— რატომ არ გბეზრდებათ ერთისა და იმავეს ლაპარაკი?—გაჯავრებული გააწყვეტინა ნინომ და შემოტრიალდა.

— მაშ რა ვქნა, რა გითხრა? დამიმონა შენმა სიმშვენიერემ და სხვა სალაპარაკო მე არა მაქვსრა...—სვიმონის ხმაში გამოკრთოდა ნაზი ალერსი, შეკავშირებულ საყვედურთან შეერთებული.

— ოჰ, ღმერთო!—გაბრაზებით წამოიძახა ნინომ.—რათა ხართ ჩვენზე, ქალებზე, ამ აზრისა? რად გვიყურებთ, როგორც ტიკინს, როგორც გასართობ რასმე... რათა გგონიათ, რომ ჩვენ მუდამ სიყვარულსა და ტრფობაზე უნდა ვილაპარაკოთ. რატომ ვერ წარმოგიდგენიათ, რომ ცხოვრებაში ჩვენცა გვაქვს ჩვენი საკუთარი შეხედულება, ჩვენი მიზანი, იდეა...

— რათ ამბობ მაგას?—ნაზის ხმით უთხრა სვიმონმა,—განა შენ მაგისთვისა ხარ გაჩენილი? განა შენი სუსტი აგებულობა შესძლებს მოუთმენლის ებრძოლოს ცხოვრების უკუღმართობას? ან რა შენი საქმეა? მიმოიხედე გარშემო—ყველა ცდილობს ცხოვრებას ამოსწუწნოს ნეტარების უკანასკნელი წვეთიც კი... შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ—საჭიროა იცოცხლო, როგორც შენი წლოვანება და ბუნების კანონი მოითხოვს, და ამ რაღაც „საქმეს“ მერეც მოესწრები. შენ კი დასჯომიხარ რაღაც „ხალხის სამსახურს“, რომელიც არც შენი საქმეა და არც შეგშვენის. შენ მხოლოდ ტრფობისა და სიყვარულისათვისა ხარ გაჩენილი... ნინო, გევედრები, უკანასკნელი სიტყვა მითხარი... გამოტყდი, იქნება მწუნობ სრულიად. [illegible]როდ.

— არა!.. მაგრამ ჩვენ ერთად უბედურნი ვიქნებით, რადგან სხვადასხვა ბანაკისა და მიმართულებისანი ვართ... შენ უარსა ჰყოფ ჩემს რწმენას, აზრს... წინააღმდეგი ხარ ჩემის მოქმედებისა... მე კი უამისოდ ცხოვრება არ შემიძლიან. მე ხალხის შვილი ვარ და მის სასამსახუროდ მოწოდებული. სანამ ხალხი კვნესს და იტანჯება, რაც გინდა ფუფუნებაში მაცხოვრო, ჩემი გული იკვნესებს. მე ვერ წავალ ჩემის რწმენის წინააღმდეგ! შენ კი შენის წრისა და წოდების ქალი მონახე—უკეთეს ცოლობას გაგიწევს... მე მინდა ისევ ამ „ჭუჭყიან“ ხალხთან დავრჩე!..

— ნინო!—წამოიძახა სვიმონმა,—შენ ამით ჩემს გრძნობას შეურაცხყოფ!

— სრულიადაც არა! მე მხოლოდ ჩემს აზრს გეუბნები,—იმავ კილოთი განაგრძო ნინომ,—შენ ახლა გულის თქმითა და გრძნობათა ღელვით ხარ გატაცებული და შენს სიტყვებს დაუფიქრებლად ამბობ. შენ გაბრაზებს შენი დამარცხება... შენ ვერ შერიგებიხარ იმ აზრს, რომ ქალმა შენს სილამაზეს ჩვეულებრივის თვალით შეხედოს, სასიყვარულო სიტყვებზე ჩემსავით გიპასუხოს, შენს ალერსს ზურგი შეაქციოს. შენ და შენი სხვებიც ამბობთ, ქალი სიყვარულისთვის არის გაჩენილიო, მაგრამ ცდებით, სვიმონ!.. ქალს სხვა საქმეც შეუძლიან, სხვა დანიშნულებაც აქვს და უფრო მეტიც, ვიდრე თქვენ, მე მაკაცებს... და მეც, სწორედ ესა მწყინს და განსაკუთრებით შენგან, რომ შენ, განათლებული კაცი, რომელიც სტუდენტობის დროს ხალხის თავგამოდებული დამცველი იყავ, ახლა აზრი გამოიცვალე და არა-საკადრის საქმეებს ჩადიხარ... აი, ეს გვაშორებს ჩვენ ერთმანეთს...—ნინოს ხმა უკანკალებდა... მე მრწამს შენი გრძნობა... მე შეიძლება, მიყვარდე კიდეც... მაგრამ...—ნინოს ხმამ უღალატა.

ამ მხილებამ სვიმონი უნებურად ჩააფიქრა და

...ს წინაღმდეგ კი არაფერი ჰქონდა დაბალე-...ბული. ამის გამო, დღე-დღეზე შეუძლიან იაპო-...ს ორი-სამის გემით ესტუმროს კომანდორის ...კუნძულებს, რომელიც, 180 წელიწადია, რუსეთს ...ეკუთვნის, და ხელში ჩაიგდოს, გაბატონდეს, თუმცა ...სახალინის დაჭერა არც თუ ისე ადვილია: შარ-...შან, ომის დაწყებისას, ცოტა რამ გაკეთდა, ...ად დასაცველად ციმბირად გაგზავნილ მოსახ-...ლეობისაგან რაზმები შესდგა და იქ მდგომ სამხედ-...რო ძალას გვერდში ამოუდგა.

იაპონელთა ცნობებით, სახალინზე დღეს ...500 შეიარაღებული კაცი გვყავს. ამათგან ...მხრეთით, კორსაკოვის საყარაულოსთან, ...,500, ჩრდილოეთით, ალექსანდრეს საყარაუ-...ლოსთან—4000. ამას გარდა, 800 ვერსის მან-...ძილზე პატარ-პატარა რაზმებია გაფანტული. ...ა არ უნდა, ეს ჯარი მეტად მცირეა, რომ ...იაპონელებს ღირსეული პასუხი გასცეს და სახა-...ლინი ჩვენ შეგვარჩინონ. რაკი სახალინის ჯარს ...იაპონელები, ფლოტის მეოხებით, ჩვენს ხმე-...ლეთს მოსწყვეტავენ, იძულებულს ჰყოფენ დაჰ-...ნებდნენ და იარაღი დაჰყარონ, სასაცილო-... სასაცილოა ის აზრი, ვითომც სახალინზე ...მა გაიგრძელებს პარტიზანულ ბრძოლით. თუ კი ...მანჯურიაში ორმოც ათასის ცხენოსან ჯარით ...ვითარი პარტიზანული ბრძოლა ვერ მოვაწ-...ყვეთ, მაშ რას უნდა ველოდეთ სახალინის ...შეშლილ ქვეითა ჯარისაგან?.. იაპონელთ სუ-...ც არ დასჭირდებათ სახალინის კუნძული გა-...ბატონ, საკმარისია სანაპირო ადგილები დაი-...ჭირონ, გზები მოუჭრან, მთელი სახალინი თავგი-...ხანგში გამოამწყვდიონ და მოსწყვიტონ ...რუსეთს. დამშეული ჯარი თავადაც იკად-...რებს სანაპირო სიმაგრეებთან მისვლას და იაპო-...ნელთა ფერხთა წინაშე იარაღის დაყრას.

24 ივნისს იაპონელებმა რამდენიმე რაზმი ...300 გადასხეს სახალინზე. ერმაკის შემდეგ ...ამ ციმბირის მიდამოებს ფეხი ეს პირველად ...ადგა. ჩვენი დიპლომატები რუზველტის შუა-...მავლობაზე რომ დათანხმებულიყვნენ, შესაძლოა, ...სახალინი კონტრიბუციაში დაგვეთმო იაპონე-...ლებისთვის, დღეს კი მუქთად ჩაიგდებენ ხელში. 24 ივნისს, კამიმურას უფროსობით, ერთი ...ადმირალო კრეისერი, 2 ჯავშნოსანი, ექვსი ...ლად-გადაკრულ-ბაქ.ნიანი ჯავშნოსანი, 4 კანო-...ნერკა და 38 ნაღმოსანი მიადგა სახალინის კუნ-...ძულს. კამიმურას შეუძლიან თავის ესკადრი-...დან (4,700 მეზღვაური) 1,500 სახალინის ნაპი-...რებზე გადასხას, 30—35 ზარბაზნით.

...თხუთმეტამდე სატრანსპორტო გემზე, რომლე-...ბიც კორსაკოვის სიმაგრესთან გამოჩნდნენ, ...უკანასკნელი 7,500 მეზღვაური მაინც იქნებო-...და 18 ზარბაზნით. საერთო რიცხვით, ამხანად, ...იაპონელებს შეუძლიანთ ხმელეთზე გადასხან სულ ...900 კაცი, 50 ზარბაზნით. ამ ჯარს, სანაპირო ...ფლოტის დახმარებით, ადვილად შეუძლიან სახა-...ლინის კიდეები შეჰკრას და დაიჭიროს.

...თუ ის ხმებიც გამართლდა, რომ იაპონელებმა ...ხმელეთზე 13 ახალი დივიზია მოათავსესო, უნდა ვი-...ფიქროთ, რომ მათ, სახალინის აღების გარდა, სხვა ...განზრახვაცა აქვთ. მოსალოდნელია, რომ ახ-...ლო მომავალში იაპონიის მეორე ბრიგადა თათრის სრუტეში გაჩნდეს და უსურიის მხარეში ხმელეთად გადავიდეს.

თუ მართლა დეკასტრში (ამურის შესართავიდან 80 მილის მანძილზე) გადასხეს ჯარი, იაპონელებს შეუძლიანთ სამხრეთით მოუარონ ჩვენს სიმაგრე ნიკოლაევსკს და დაუბრკოლებლად გაემართო გაუმაგრებელ და ღვთის ანაბარად მიტოვებულ ხაბაროვსკისაკენ. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ვლადივოსტოკი მთელს რუსეთს მოსწყდება ჩრდილოეთის მხრივ, ამავე დროს, ხასეგავას რაზმები აღმოსავლეთით მანჯურიის რკინის გზას მოგვიჭრიან და გზას შეგვიკრავენ.

ანივას ყურეში იაპონელთა ხმელეთად გადასვლას ჩვენმა სამხრეთ-სახალინის ჯარის უფროსმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია. იაპონელებმა კორსაკოვსკიდან 15 ვერსის მოშორებით გადასხეს ჯარი. უნდა ვიფიქროთ, რომ კორსაკოვსკთან 2,500 კაცი მაინც გადასხეს იაპონელებმა. იმავე საღამოს მათ მთებისკენ მიიტანეს იერიში, ჩვენმა ჯარებმა უკან დახევა ირჩიეს და, მეორე დღეს, კორსაკოვსკი იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში.

„ოხოტსკის“ ზღვისკენ გამგზავრებულ იაპონიის ესკადრის ერთი ნაწილი უპირველესად „მოთმინების“ ყურესთან გადასხამს რაზმებს, ანივას კონცხიდან 160 მილის მანძილზე, ხოლო შემდეგ—ნიისის ნავთ-სადგურში. ამითი დასრულდება სახალინის აღმოსავლეთ კიდეების დაპყრობა (რ. ვედ.).

ვ. მ.

ახალი ამბავი

✦ უწმ. სინოდის განკარგულებით, 1903 წ. საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებელთა რევიზია იყო. რევიზორის ბ-ნ ი. ტიხომიროვის მოხსენების შემდეგ, **უწმ. სინოდმა ასეთი განკარგულება მოახდინა:** სასულიერო უწყების სასწავლებლების ქართველი მასწავლებლები რუსულად კარგად ვერ ლაპარაკობენ, კილო არ უვარგათ, ბავშვებსაც ქართულად ელაპარაკებიან და ამიტომ სასწავლებლებად და უფროსებად მხოლოდ რუსები უნდა ინიშნებოდნენო. ქართულის ენის სწავლების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საეკლესიო ქართულს; სასწავლებლების სამკითხველოებიდან გამოიდევნოს საერო შინაარსის წიგნები და სასულიერო სემინარიისა და დედათა საეპარქიო სასწავლებლისათვის ქართულის ენის ახალი პროგრამა უნდა შესდგესო. ამ განკარგულების აღსასრულებლად განსაკუთრებული კომისიები დაარსდა. ახალ პროგრამის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა.

✦ 30 ივნისს, ქ. შუშაში, შუადღისას, ხაზინის მოხელემ ი. ბადრიევმა ფოსტიდან 43 ათასი მანათი მიიღო და ხაზინაში დაბრუნდა ერთ ნაფიც მოხელის თანხლებით. ხაზინამდე ასი ნაბიჯი-ღა დარჩა, რომ **თავს დაესხნენ უცნობნი,** რაღაც ბლაგვი იარაღი დასთხლიშეს ორთავეს თავში, მიწაზე დასცეს, ფული ხელიდან გამოსტაცეს და მიიმალნენ. ბადრიევი გონზე ვეღარ მოიყვანეს და ორის საათის შემდეგ გარდაიცვალა. ნაფიცი მოხელე სიკვდილის პირადაა.

✦ რადგანაც მიხეილის სახელობის საავადმყოფოში ადგილი აღარ არის, კავკასიის **საექიმო სამმართველო სთხოვს ქალაქის გამგეობას**—ზოგიერთი დაჭრილები მიიღოს ხოლმე ქალაქის საავადმყოფოებში.

✦ კავკასიის სამკურნალო გამგეობამ მისწერა **საგუბერნიო სამმართველოს საექიმო ნაწილს,** რადგანაც ხოლერის გაჩენის შიში აღარ არის, ექიმთა შტატი შეამცირეთო.

✦ პარასკევს, 1 ივლისს, რკინის გზის მთავარ სახელოსნოების თუჯის ჩამომსხმელ ცეხის კონსერვატიულ პარტიის 9 **მუშა ჩაის სმის დროს მოწამლულა.** ექიმებმა გასინჯეს ქეთლი და რაღაც თეთრი სითხე ნახეს მის ძირში. ერთი მუშათაგანი უკვე გარდაიცვალა.

✦ ამ დღეებში **ტფილისში შესდგა კრება სომხებსა და თათრებს შორის მშვიდობიანობის ჩამომგდებთა.** კრებას თავმჯდომარეობდა ა. ა. ქალანთარი. კრებამ ამოირჩია ბიურო, რომლის პრეზიდენტადაც არჩეულ იქმნა ექიმი ს. ვაწაძე, ვიცე-პრეზიდენტად ბ-ნი ვესელიავზოროვი, ხოლო წევრებად ბ-ნნი ემინოვი და არაქელოვი.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში **დამთავრდა სოფლის მამულების საჯარო ვაჭრობა.** სულ გასასყიდი იყო 25 მამული 166,000 მან. გაიყიდა მხოლოდ ექვსი 18,500 მანათად. ბანკს დარჩა 19 მამული, 91,000 მანათისა.

✦ საქმე ბათუმის მუშათა, რომელთაც **პატრიოტულ მანიფესტაციის ხელის შეშლა ბრალდებოდათ,** გაირჩევა ტფილისის სამოსამართლო პალატაში 26 ივლისს.

✦ საგუბერნიო გამგეობის **სამკურნალო სამმართველომ აცნობა სოფლის ქსენონების გამგეთ,** უმაღლესის ადმინისტაციის განკარგულებით, ქსენონებს საავადმყოფოს უფლებანი მიენიჭაო.

✦ სოფელ მარტყოფსა (ტფილისის მაზრა) და სოფელ ბარალეთს (ჯავახეთი) **დაარსდა საფერშლო პუნქტები.**

✦ გორის მაზრის სოფელ ახალქალაქიდან „ცნ. ფ.“-ს ატყობინებენ, ამასწინად ადგილობრივ **გლეხებს შეტაკება მოსვლიათ** თავ. არჩილ თარხნიშვილის მუშებთან. გლეხებს მოუთხოვნიათ მუშებისთვის, ხელი აეღოთ მუშაობაზე. შეტაკების დროს მომკვდარა ერთი კაცი. თვით თავ. თარხნიშვილი სოფელში არ არის თურმე

✦ შორაპანში მარგანეცის ვაგონების **დამტვირთველ-გადმომტვირთველ მუშებს, 24 ივნისს, უარი უთქვამთ მუშაობაზე** და წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილებანი. მუშები თხოულობენ ფასის მომატებას და სამუშაო დღის შემოკლებას. ეს პირობები ამიერ-კავკასიის რკინის გზამ ხელ საყრელად ვერ იცნო და ბაქოდან გამოიწვრა თათარი მუშები. ამ დღეებში მუშებს მოელიან და ძველებს დაითხოვენ. მანამ კი თენგინის პოლკის სალდათები ტვირთავენ ვაგონებს (ც. ფ.).

✦ „ნოვოსტ“-ში შემდეგ ამბავს ვკითხულობთ: „ამას წინად მელიტოპოლის **სომეხგრიგორიანთა ეკლესიამ** შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ჩამორთმეული მამულები და ქონება. ამ შუამდგომლობის საპასუხოდ, 'შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ადგილობრივ გუბერნატორს, რომ, უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დადგენილების თანახმად, რომლის ძალითაც სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის ქონებანი მთავრობის დაწესებულებათა ხელში უნდა იყოს, სამინისტროს შეუძლებლად მიაჩნია სომეხთა შუამდგომლობის შეწყნარება“.

✦ 1 ივლისს სადგურ ხაშურში მოჰკლეს გზის დარაჯი მიხეილ ფხაკაძე.

სადღეისო

რას ეძებდა და რა ჰპოვა!

(სურათი)

თენდებოდა... აღმოსავლეთით ხელთუქმნელი ძოწეული გაშლილიყო, ზედ ბამბის ქულა ღრუბლები დამსხდარიყვნენ და ოცნების აკვანს არწევდნენ.

მზის მოლოდინში ცის დასავალს გული გადალეოდა, გადაფითრებულიყო.

დედამიწა ისევ ბინდ-ბუნდს მოეცვა.

მაღლა, ზეცას წასული ტოროლა თავისუფლების სიმღერას არაკრაკებდა და დამწიფებული ყანა სიამოვნებით ღელავდა.

— რა კარგია სიცოცხლე, რა კარგია თავისუფლება, რა უებრო ბუნება!.. წამოიძახა კოწიამ და აღტაცებით მიდამოს თვალი შემოავლო ერთხანს შესდგა, სუფთა ჰაერი ხარბად შეისუნთქა და მერე კვლავ ფეხი ააჩქარა.

იგი ამ ალიონზე სოფლიდან ქალაქად, სამსახურში, მიეშურებოდა.

— სიცოცხლე... თავისუფლება! ბუტბუტებდა კოწია და ბუნების სიდიადით დამტკბარი კი არ მიდიოდა,—მიჰფრინავდა.

იგი ოცნებას გაეტაცნა, ნატვრას შეეპყრო.

— ნეტა შემეძლოს მუდამ ასე თავისუფალი ვიყო. ნეტა შემეძლოს ისეთი პირობების შექმნა, რომ ყველა თავისუფალი, თავის თავის ბატონი იყოს. თორემ, რა სიცოცხლეა ახლა, ჩემი სიცოცხლე?—დაეკითხა თავის თავს კოწია და ოცნების მთიდან თავქვე დაგორდა... ფეხებს მკვდარივით—ღა მიათრევდა.

თავისს აწინდელ ცხოვრების გათვალისწინებამ მუხლებში მოშალა: აღარ ეჩქარებოდა სამსახურში მისვლა, უფროსის დანახვა. უნდოდა, ცოტას ხანს კიდევ თავისუფლად დარჩენილიყო, სუფთა ჰაერი ესუნთქნა, ადამიანი ჰგონებოდა თავისი თავი, თორემ იქ,—სამსახურში,—იგი უბრალო მანქანა იყო.

კოწია რცხილის გრუზა ბუჩქს გვერდით წამოუწვა და ჩაფიქრდა.

მზემ პირველი სხივი სწორედ ამ ბუჩქსა სტყორცნა. წმინდა იყო იგი სხივი, ვით ბავშვის ცრემლი და მგრძნობიარე, ვით პირველი კოცნა მიჯნურისა, მაგრამ კოწია მაინც ვერ გამოფხიზლა. იგი თავისს ყოფნაზე ჰფიქრობდა.

კოწია სცხოვრობდა ტფილისის ერთ მიყრუებულსა ტალახიან უბანში, ცხოვრობდა ღარიბად, ხელმოკლედ. ცოლშვილიანად რვა-ცხრა სული ჰყავდა შესანახი და მათ გამოსაკვებად წელებზე ფეხს იდგამდა. მსახურებდა იგი ერთ რაღაც უაზრო და უშინაარსო დაწესებულებაში, ემსახურებოდა გროშებზე და იმასაც მოწყალებად უთვლიდნენ. დილიდან საღამომდის დაღვრემილი, დარეტიანებული დაიარებოდა. შინ თუ გარედ, სამსახურსა, თუ სახლში, მუდამ იმის ზრუნვაში იყო, როგორ გაეუმჯობესებინა თავისი ცხოვრება ისე, რომ ადამიანებში გარეულიყო, გაეგო რამ ამ ქვეყნისა, ენახა ნამდვილი ადამიანი, განვითარებულიყო, კაცად გამხდარიყო. მაგრამ ცხოვრების უკუღმართობას ისე მაგრა ჩაეჭიდნა მისთვის თავისი კლანჭები, რომ ამ კლანჭებიდან თავის დაღწევა აგრე ადვილი აღარ იყო...

გულჩათხრობილი და გაბოროტებული კოწია უდროოდ გატყდა, დარდმა და ვარამმა გული გამოუხრა, სახე დაეღარა და მარტოოდენ ადამიანის აჩრდილად გადაიქცა.

— როდემდის უნდა ვიყო სხვის მუშად, როდემდის უნდა ვითვლებოდე შეკაზმულ სახედრად? ნუ თუ არა კმარა, რომ ეს „სხვა“ ამდენს ხანს არხეინად ცხოვრობდა, ჩვენ უბედურებაზე თავის ბედნიერების აშენებდა? სად არის სამართალი?—დაეკითხა თავისს თავს კოწია და ცას შეხედა.

ცა კი იღიმებოდა. მზის ნორჩი სხივებით გულმკერდს იქარგავდა.

— ნეტა რევოლვერი მაინცა მქონდეს, რომ ამ ბუჩქის ძირში თავი მოვიკლა და მოვშორდე ამდენ ტანჯვის მზერას, ამდენ დამცირებას. მერე რა მშვენიერი, რა ლამაზია ეს ქოჩორა ბუჩქი?! ფარისეველთა-მიერ დაწნული გვირგვინი. როგორ შეედრება ამ უმანკო ბუჩქს?—წამოიძახა კოწიამ, პატარა ხანს დაფიქრდა და მწარედ ჩაიცინა.

— ოჰ, რა სულ-მოკლეა ჩემისთანა წვრილმანი ადამიანი!.. სიკვდილი ყოველთვის მიპოვნის... არა, მე სიცოცხლე, ადამიანური ცხოვრება მწყურიან. ხალხნო, მომეცით იგი! მაგრამ...

კოწია კვლავ ფიქრებმა შეიპყრო.

ფიქრი! მარტო ესღაა ამ ქვეყნად ხელშეუხებელი. ფიქრი!.. მარტო მასღა შეუძლიან თავისუფლად ნავარდი, კაცის თავში მომწყვდეული, იგი დამალულია ბოროტ ხალხისაგან, მაგრამ თუ ფიქრი სიტყვად არ იქცა, სიტყვა კიდევ—საქმედ, ფიქრი მწარე და ფიქრი დუხჭირი ჰკუიდან გადააგდებს ადამიანს. ალბად, ამიტომ არ არის ძლიერთაგან ამა ქვეყნისა ფიქრიც აღკრძალული!

მზე მთაზე შემოდგა. ტოროლამ გალობა შესწყვიტა, ნიავი ჩადგა, გლეხები ყანას სამკალად მოედვნენ, კოწია კი ისევ გულ-აღმა იწვა ბუჩქის ძირს და კვლავ ჰფიქრობდა.

— რა ვარ, რის მაქნისი?—იგვემვდა თავს კოწია—ცოდნა მე არა მაქვს, გამოცდილება მე არ შემწევს, მეგობრები მე არა მყავს, თვისი მე არ მიცნობს და ტომი? მაშ, რა ვარ? ჩვარი, მანქანა? არა, მე მინდა ადამიანი ვიყო! მე მოვძებნი, მივემხრობი იმათ, ვინც გამადამიანებს, ვინც თავისუფალ ცხოვრებას მომანიჭებს. კმარა ამდენი სილაჩრე, სიმხდალე!..

კოწიას ამ დროს [illegible] მის გვერდით ჩამოიარეს [illegible] გლეხებმა. სანდრებით სანოვაგე მიჰქონდათ ტფილისში გასასყიდათ.

კოწია გამოფხიზლდა და ზეზე წამოდგა. გაფანტვით მიმოავლო თვალი მიდამოს და შეშინებულმა საათს დახედა. დილის ათი საათი გამხდარიყო. გამწარებით შემოიკრა შუბლში ხელი და სოლოლაკის მთაზე გიჟივით დაქანდა.

ახლა ის მჩვარი-ღა იყო, მჩვარი დაჭმუჭნული, ჭუჭყიანი, ბატონის მაგიდის საწმენდი. ოცნება სინამდვილედ შეეცვალა, წამს გაღვიძებული ადამიანური გულის-თქმა ჩაუკვდა, ჩაეფერფლა. ცხოვრების პროზამ სულის პოეზია გაუწელა.

— სტოი, დაუყვირეს კოწიას და ერთი სალდათი და ორი კაზაკი წინ გადაეღობნენ. კოწია შეკრთა. მარტო ახლა გაახსენდა, რომ ქალაქში სამხედრო წესი იყო გამოცხადებული.

ქუჩები ჯარის კაცებით იყო სავსე. მცხოვრებლები ფეხ-აკრებით დაიარებოდნენ, თითქოს მძიმე ავადმყოფი უწევთ და იმას ერიდებიანო. სიცოცხლე და ჩიავებულიყო. თითოეულ მოქალაქეს სიკვდილი ზურგზე წამოსჯდომოდა.

სიკვდილი სჯობდა ამგვარ სიცოცხლეს...

— ხელები მაღლა ასწიე!—დასძახა ერთმა კაზაკმა და კოწიას გასაჩხრეკად მოემზადა.

— არ აეწევ ხელებს... მე იარაღი არა მაქვს...

— Молчать, скотина! დაუღრიალა კაზაკმა და, ვიდრე კოწია სიტყვის შებრუნებას მოასწრობდა, იგი უკვე შეჰკოჰეს და პოლიციაში ცემა-ტყეპით წაათრიეს.

უბეში „უცხო“ ენაზე დაწერილი მოკითხვის წერილები აღმოაჩნდა...

ია ეკალაძე

რუსეთი

ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორმა ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის **ამნისტია მოითხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო** (ნ.).

✦ როგორც ხმაა დადის, **რუსეთისა და პოლონეთის** ინტელიგენციის წარმომადგენლები ივლისში შეიკრიბებიან (ნ.).

✦ გლაზგოვიდან იტყობინებიან, რომ **ყოველ კვირა რუსეთიდან ხუთი ათას—ექვსი-ათასი ემიგრანტი მოდისო.** თითქმის ყველანი პოლონეთიდან და ვოლინიდან არიანო (ნ.).

✦ „ნოვოსტი“-ს კავკავიდან ატყობინებენ, რომ 18 ივნისს იქედან ნოვოროსისკში აფშერონის პოლკის **სამი როტა გაგზავნესო.**

✦ ახხაბადის საოლქო კანცელარიის მოსამსახურეებს **ფლოტის გასაძლიერებლად აღარ შეაქვთ ის ფული,** რომელიც აქამდის თავის ნებით შეჰქონდათ (ნ.).

✦ „ნაციონალ ცეიტ.“ ატყობინებენ: მოსკოვის, ოდესის, ხარკოვის და რუსეთის სხვა დიდ ქალაქების საფოსტო დაწესებულებებში უცხოეთის გაზეთების **აუარებელი აბონემენტები მოგროვდა.** განსაკუთრებით ბერლინის გაზეთებს ეტანებიან, რადგანაც გერმანული გაზეთები რუსეთში მომხდარ ამბების შესახებ დაწვრილებითს ცნობებს იტყობინებიან (რ. ს.).

✦ როგორც „მოსკ. ვედ.“-ს ატყობინებენ, გრაფის შერემეტიევის, ბობრინსკის და ნარიშკინის-მიერ წარმოთქმული სიტყვები დაბეჭდეს და ქ. უფაში ხალხს ურიგებენო. ფურცლებზე აწერია: **„ერთგულნი მსახურნი რუსის თვითმპყრობელ მეფისა“.**

✦ **რა მოუთხოვიათ მოსკოველ ებრაელებს?** მოსკოვის ქალაქის საბჭოს სამკურნალოებში ბევრი ებრაელი მსახურობს. ახლა, როგორც გაზეთები იტყობინებიან, მოსკოვის ინჟენერებს და ტეხნიკებს, მოსკოვის მოურავისთვის უთხოვიათ, რომ ინჟენერების და ტეხნიკების თავისუფალ ადგილებზე ებრაელებიც მიიღეთ ხოლმე და უარს მარტო იმიტომ ნუ ეტყვით, რომ ებრაელები არიანო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თ-დი ვ. მ. გოლიცინი ამ წინადადებას შეიწნარებს (მ. ვ.)

თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების მორიგი კრება

(1 ივლისი).

პარასკევს, 1 ივლისს, წინა კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარემ განაცხადა, განსახილველად დაგვრჩა სამი საგანიო: პედაგოგიურ საბჭოს პროექტი, კომიტეტის ორი წევრის არჩევანი (ერთი ექ. გაბაშვილის მაგივრად, რომელმაც ამას წინად დაანება თავი კომიტეტს, და ერთიც ექ. ვირსალამის მაგივრად, რომელიც თხოულობს ამ თანამდებობიდან განთავისუფლებას) და სარევიზიო კომისიის არჩევნები. მე საჭიროდ ვსცანი, ჯერ არჩევნები მოვახდინოთ და შემდეგ პედაგოგიურ საბჭოს პროექტის განხილვას შევუდგეთო. ეს ჩემი უფლებაა და ვსთხოვ კრებას, კანდიდატები დაასახელოსო.

ამ წინადადებას კრება არ დაეთანხმა და ერთხმად მოითხოვა, ჯერ პროექტი განვიხილოთ და შემდეგ არჩევნები მოვახდინოთ. თავმჯდომარე ვეღარ წაუვიდა კრების სურვილს და პირველ საკითხად პროექტი წამოაყენა. სკოლის გამგე შ. ჩიტაძე აცხადებს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგიურ საბჭოს მიეცემა სკოლის საქმეებში სრული თავისუფლება, კრებამ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ძველანდელი მასწავლებლები სამსახურს თვითონვე თავს გაანებებენ და ამით კრება თავისუფალი იქნება, ისევ ძველ მასწავლებლებს ჩააბაროს—დამოუკიდებელი სასწავლებელი თუ ახალი პედაგოგიური საბჭო შეადგინოს. მ. გედევანიშვილი ამაზე შენიშნავს, რომ, მასწავლებლებს თუ სამსახურის თავის დანებება უნდოდათ, კომიტეტში უნდა შეეტანათ წერილობითი განცხადება, კომიტეტს უნდა დაეთხოვნა ისინი და მაშინ ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო ამ საგანზე მსჯელობა გვქონო-

---

...თხანს გარინდებული იდგა, მაგრამ ნინოს უკანასკნელმა სიტყვებმა ფრთები შეასხა, დიდი ხნის ...მოლოდინი განუხორციელდა.

—ნინო, ჩემო ძვირფასო!—თავდავიწყებით დაიძახა სვიმონმა და ხელებ გაშლილი ქალისაკენ გაექანა.

—თავი შეიკავეთ!..—წარბ-შეკვრით უთხრა ნინომ და ისეთის თვალით შეხედა, რომ სვიმონს გაშლილი ხელები ჰაერში დარჩა.

—ნინო, შინა ხარ?—შემოესმათ ამ დროს ვიღაცის ხმა.

—მობრძანდით!—გასძახა ნინომ და კარებისაკენ მიბრუნდა.

ოთახში ლურჯ ხალათიანი ყმაწვილი შემოვიდა და ნინოს უთხრა;

—ხალხი შეგროვდა, შენ გელოდება.

—ხალხი?—გახარებული წამოიძახა ნინომ, გახარებით წამოავლო შალს ხელი და ყმაწვილთან ერთად გარედ გავიდა.

—ნინო, ნინო!..—სასოწარკვეთილებით ლუღლუღებდა სვიმონი, მაგრამ ნინოს აღარ ესმოდა, ...უკვე შორს იყო წასული.

—

წვიმა გადაიღო. ნაჭერ-ნაჭრებად დაყოფილი ღრუბლები აღმოსავლეთისაკენ მიეშურებოდა ...ავმა გაისისინა და წვიმისაგან გამოცოცხლებული ბალახი ნაზად შეარხია. დაქანცული ბუნება ...ტკბილ ძილს მისცემოდა. ხის ფოთლები, მეტის ...ტარებისაგან დამტკბარი, სტიროდა...

ღრუბლის უკანასკნელმა ნაჭერმაც გაისრიალა და მთვარემ თავისუფლად დაანათა ხალხს, რომელიც სულგანაბული იდგა და ნინოს ქადაგებას ყურს უგდებდა, ზოგი ხის ძირში დამსხდარიყო, ზოგიც ტრიბუნასთან ჩაცუცქულიყო, ზოგიც ...ოლებული ნინოს მისჩერებოდა და, ღრმად ჩაფიქრებული, ყოველ სიტყვას გულში იმარხავდა.

ნინო მაღლობზე იდგა და ქადაგებდა. მისი ...ლები, მოძრაობა ამტკიცებდა, რომ იგი გატაცებული იყო. მისი აზრი, მისი გრძნობა ერთად თავმოყრილ ხალხს დასტრიალებდა. ხალხიც აღტაცებით ყურს უგდებდა ახალგაზდა ქალს...

ყველაზე ხარბად კი სვიმონი შესცქეროდა ნინოს. იგი წეღანვე აედევნა ნინოს, ყრილობას მიუახლოვდა, ამოეფარა ერთ ხეს და იქიდან უყურებდა ამ დიდებულ სურათს.

—რა ვარ მე, რის მაქნისი?—დიდის ხნის ფიქრის შემდეგ ნაღვლიანად სთქვა სვიმონმა.—რა ვქენი? უძლურმა, სუსტმა არსებამ შესძლო ხალხისათვის სარგებლობის მოტანა, გამოაღვიძა, შეჰკრა... იმდენი ნდობა მოიპოვა, რომ ამოდენა ათასი კაცი მას ყურს უგდებს და ყოველ მის სიტყვას გულში იმარხავს... მე კი?.. ვაჟკაცი, ძალღონით სავსე, განათლებული, რას ვაკეთებ? რა სარგებლობა მოვუტანე ვისმე?.. პირიქით, ეს წმინდა და ყველასაგან სათაყვანო ადამიანი მინდა შევურაცხყო... მოვატყუო, ნამუსი ავხადო... არა, არა! ეს ჩემგან ჩადენილ ყველა სისაძაგლეს აღემატება.

— „ძმებო“!—მოესმა სვიმონს ნინოს ხმა.— „ახლა დაიშალენით! დანარჩენი—ხვალ“!..

ხალხი სიმღერითა და „ვაშას“ ძახილით სოფლისაკენ გაემართა. ყველა სიცოცხლესა გრძნობდა, მხოლოდ სვიმონი ჩაფერფლილი, დალონებული, ადრევე განშორდა იმ ადგილს.

—

საღამოს ათი საათი იყო. სვიმონი საკრებულო მოედნისაკენ გაემართა. ის მიდიოდა გაჩქარებული, მაგრამ გონება დაბნეული.

გუშინდელს აქედ სვიმონის ბუნებაში ორგვარი ცვლილება მოხდა—მისი სული და ბუნება განიწმინდა, განსპეტაკდა. პირუტყვული გრძნობა გაჰქრა და მისი ადგილი წმინდა და პატიოსანმა გრძნობამ დაიჭირა. მის გონებაში ქალი აღსდგა, როგორც ადამიანი. ახლა ის აღარ უყურებდა ქალს, როგორც სათამაშოს, სხეულის დამატკბობელ არსებას. მის გონებაში ტრიალებდა ნინო, როგორც ხასიათ მტკიცე, მოღვაწე, ხალხის საყვარელი ადამიანი. ის მზად იყო ნინოს წინაშე მუხლი მოედრიკა და მასთან ერთად მთლად დედათა სქესისათვის თაყვანი ეცა.

— უსუსური ქალიც კი ძალღონით აღიჭურვა და ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა...—ფიქრობდა სვიმონი.—ნინო, რომელიც გუშინ ტიკინებს ეთამაშებოდა, დღეს გარკვეულის რწმენისა და შეხედულების ქალად ქცეულა და ხალხს სათავეში ჩასდგომია... მხოლოდ მე მძინავს!.. დიალ, ჩემს სახტუმროებში ქეიფისა და სურნელოვან ბუდუარებში ძილის დროს ქვეყანას გაულვიძნია...

სვიმონი მოედანს მიუახლოვდა. ავიდა მაღლობზე და ხალხს გადმოხედა. ისევ ის დიდებული სურათი დაინახა.

ნინო ლაპარაკობდა გატაცებული, აღფრთოვანებული. თვალები ღვთიურის ცეცხლით ანთებოდა. თითქო გაზრდილიყო, გამშვენიერებული ყო... ხალხის სახეზედაც სასოება და კმაყოფილება იხატებოდა; სულიერი სიმშვიდე და ბედნიერ მომავლის იმედი ასულდგმულებდა.

ნიავმა პირი იბრუნა და ჩაფიქრებულ სვიმონს ნინოს სიტყვები მკაფიოდ მოესმა:

— ხალხმა გაიღვიძა, შეიგნო თავისი ადამიანობა...—ჰქუხდა ნინო.—აღარ უნდა მონობის ქვეშ ყოფნა. ვინ შექმნა ეს სიმდიდრე? ისევ თქვენ, ძმებო!.. ვინ მოიგონა ეს წოდება?.. ადმიანმა! რად არის ერთი ბატონი, მეორე—ყმა? იმიტომ, რომ ძლიერმა სუსტი დაიმონავა. ყველა ადამიანი ბუნებამ გააჩინა, ერთგვარის უფლებით აღჭურვილი... მისცა თავისუფალი გონება, აზრი, მოქმედება... გაიღვიძებთ, ძმებო, მოიშორეთ ტვირთი, ასწიეთ მაღლა თავი, შეხედეთ მზის სინათლეს!.. ბოროტების ძირიანად მოსპობა შეიძლება მხოლოდ შეერთებულის ძალით.. მაშ შევერთდეთ, ძმებო, და თავგანწირვით შევებრძოლოთ უკუღმართ ცხოვრებას!... ნინო დაჩუმდა... ხალხი ერთმანეთს ეცა, ახმაურდა, ამღერდა და აღტაცებით ნინოს შემოეხვია.

— მეც შენთანა ვარ!—შესძახა გრძნობა-მორეულმა სვიმონმა, ხალხი გაარღვია და ნინოს მხარში ამუდგა.

— შენ?.. ნინო გაკვირვებული მიაჩერდა.—მორჯულდი, სვიმონ?—აღლვებით ჩაეკითხა ნინო და დიდის ხნით გულში დაგუბებული გრძნობა სვიმონისადმი თვალებში გამოუკრთა.

— შენთან ვარ, და ვიქნები კიდეც .. ხალხო, მეც თქვენთანა ვარ!.. აღტაცებუით გასძახა სვიმონმა ხალხს:

— არ გვინდა, არა!—მოისმა ზოგიერთის ხმა.—მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, ღმერთმა იმის ხორცი ნუ მაჭამოს—ყვიროდა მეორე.

— მე რომ შენი მოურავებისაგან ცემა-ტყეპა მინახავს, ღმერთმა ნუ დამაჯეროს შენი „ერთობა“—ღრიალებდა მესამე.

სვიმონი იდგა დარცხვენილი და სიყვარულითა და სინანულით სავსე თვალებით ნინოს მისჩერებოდა. ნინომ იგრძნო სვიმონის გულის-თქმის სიწრფელე და აღტაცებით შესძახა ხალხს:

— ძმებო! თქვენს წინაშე მე ვიქნები პასუხისმგებელი, რომ ეს იქნება ნამდვილი თქვენი გულშემატკივარი ძმა. ნუ გააგდებთ გზა-დაბნეულს, თქვენისავე ოფლით აღზრდილს შვილს... ნუ დაგვაიწყდებათ—ძალა ერთობაშია!..

მთვარე გადიხარა და დაფიქრებულ ხალხს სახეზე მიანათა. ნიავმა გაინავარდა. ბულბულის მხიარულმა სტვენამ დუმილით მოცულს ჰაერში გაიწკრიალა. ხალხი გამოერკვა.

— მივიღოთ!—დაიძახა მეთაურმა.

— მივიღოთ.. მივიღოთ!.. გაისმა ყოველ კუთხიდან... გაუმარჯოს ერთობას!.. იგრიალა ხალხმა.

მხიარულნი და ბედნიერნი, ხელიხელ გაყრილნი ნინო და სვიმონი, ხალხით გარშემორტყმულნი, სოფლისაკენ მიეშურებოდნენ. მთვარე ამ დიდებულ სურათს გზას უნათებდა.

ვალიკო გურული.

დათ. პ. სურგულაძე ეთანხმება გედევანიშვილს და ამბობს, მასწავლებლები უთუოდ უნდა წერილობით იქმნენ დათხოვნილნი, რადგან, თუ საქმეს პრინციპიალურად გავარჩევთ, სულ სხვაა და, როდესაც მხედველობაში გვყავს ის პირები, ვისაც ეს პრინციპი უნდა ჩაბარო, ის სხვა არისო. ვ. რცხილაძე ამართლებს პედაგოგიურ საბჭოს, სხვაგვარად მოქცევა მას არ შეეძლოო. ზ. იაშვილი ამბობს, პრესსაში სწერდნენ, სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა ჯგუფი არ ვარგა და ავტონომიის ღირსი არ არიანო. ახლა საზოგადოებაშიაც ამგვარი აზრი ტრიალებს, ამიტომ ჩვენ ყველამ გადავსწყვიტეთ, სამსახურს თავი დაგანებოთ და ამით საზოგადოებას ხელები გავუხსნათო. კრება თხოულობს, ორატორებმა ილაპარაკონ პრინციპიალურად და პირად ლაპარაკს თავი დაანებონ. ბ-ნი რატიშვილი სიტყვას თხოულობს და ამბობს: მე განსაკუთრებულ პირობებში ვარ და ამიტომ... დ. ჯორჯაძე აწყვეტინებს სიტყვას და უმეორებს, რომ ეს საქმეს არ შეეხებაო. თავმჯდომარე სთხოვს ორატორს, განაგრძოს სიტყვა. შ. ჩიტაძე მიაქცევს კრების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ კომიტეტი ცალმხრივობას იჩენს, იცის, რაც უნდა სთქვას რატიშვილმა, და იმიტომ თხოულობს, რომ რატიშვილმა უსათუოდ ილაპარაკოს. თავმჯდომარე ჩიტაძის სიტყვებზე პროტესტს აცხადებს და თავმჯდომარეობას თავს ანებებს. შემდეგ, კრების თხოვნით, ისევ თავის ადგილს იჭერს. რატიშვილი განაგრძობს სიტყვას და ამტკიცებს, რომ პროექტი მეტის მეტად აჩქარებითაა დაწერილი. ბ-ნ ხრამელაშვილის აზრით, თუ პედაგოგიურ საბჭოს ავტონომია დამტკიცდა, მასწავლებელთა ეხლანდელი პერსონალი უნდა დარჩეს. ნ. ცხვედაძე კრებას ურჩევს, საქმეს წინდახედულად მოექცეს და დამშვიდებულის გულით განიხილოს ეს რთული საკითხი.

ამის შემდეგ კითხულობენ პროექტის შესახებ კომიტეტის დადგენილებას, რომლითაც კომიტეტი პროექტის შინაარსს ბევრში არ ეთანხმება. ამ დადგენილებას თავმჯდომარე დასძენს, რომ ყოველი მუხლი პროექტისა ისეთი რთულია, რომ ჩვენ, 25 კაცს, მათი გარდაწყვეტა არ შეგვიძლიან, მით უმეტეს, რომ ამ პროექტით ბანკის წესდება იცვლებაო; გთხოვთ კომისია აირჩიოთ, ეს საქმე მიანდოთ, იმან შეიმუშაოს და საგანგებო კრებას მოახსენოსო. ექ. გაბაშვილი უპასუხებს, საქმე პრინციპიალურად უნდა გადავსწყვიტოთ, დაწვრილებით საგნების შემუშავება კი კომისიას უნდა მივანდოთო.

როგორც სკოლის გამგემ ჩიტაძემ წინა კრებაზე განაცხადა, პედაგოგიური საბჭო თხოულობს ჯერჯერობით ამ პროექტის ორის ტეზისის გარჩევას. პირველი—რომ პედაგოგიურ საბჭოს მიენიჭოს სრული დამოუკიდებლობა სწავლის საქმეში, მეორე—რომ სკოლას არ ჰქონდეს მოსამზადებელი ხასიათი, ე. ი. სკოლა ვალდებული არ იყოს მოწაფეები მოამზადოს გიმნაზიის კლასებისთვის, ხოლო უნდა მოამზადოს მომწიფების ატესტატისთვის. ამით მასწავლებლებს უნდათ სკოლის პროგრამმა შესცვალონ, საგნები ერთის კლასიდან მეორეში გადაიტანონ.

ამ საკითხებმა კრებაში გამწვავებული კამათი გამოიწვია. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ ეს საკითხებიც კომისიას, ან უფრო მრავალ-რიცხოვან კრებას უნდა გარდაეცეს განსახილველად. ზოგი კი თხოულობს, რომ ეს ორი მუხლი ეხლავე უნდა გადასწყდეს. გ. რცხილაძე ამბობს, რომ ამ საგნებზე ლაპარაკი არა ღირს, რადგან ეს წვრილმანი საკითხებია: კრებამ ჯერ პრინციპიალურად უნდა გარდასწყვიტოს, რომ სკოლა ნაციონალურ ნიადაგზე დააყენოს და, როგორ და რანაირად, ეს შემდეგში გამოჩნდებაო. ვთხოვთ ამ საკითხს კენჭი უყაროთ და, თუ მე მარტოდ დავრჩები და არავინ მომემხრობა, ამითი მე არ შევშინდები, ამით გამოირკვევა ფიზიონომია ამ კრებისა, რომელიც სიტყვიერად რადიკალობას და ათასგვარ რეზოლუციას ხელს აწერს, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, სადღაც გაჰქრება ხოლმე.

ბოლოს თავმჯდომარემ ეს ორი საკითხი დააცალცალკევა და კრებას წინადადება მისცა, კენჭი უყაროს მეორე საკითხს.

კრებამ ერთხმად, ექ. გაბაშვილის გარდა, რომელმაც კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა, პრინციპიალურად გარდასწყვიტა, სკოლას მოსამზადებელი ხასიათი ჩამოაშოროს და ამ საგნის დაწვრილებითი შემუშავება კომისიას მიანდოს.

კომისია შესდგება კომიტეტის შვიდის წევრისაგან, პედაგოგიურ საბჭოს შვიდის მასწავლებლისა და შვიდ გარეშე პირებისაგან. ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს სკოლის პროგრამა და დასამტკიცებლად სკოლის საგანგებო კრებას უნდა წარუდგინოს.

კრება მეორე დღისთვის გადიდო.

გუშინ, 2 ივლისს, კრება შეუდგა პედაგოგიურ საბჭოს პროექტის მეორე მუხლის განხილვას. ამ მუხლით, როგორც მკითხველებმა იციან, პედაგოგიური საბჭო თხოულობს მატერიალურს და პედაგოგიურს საქმეებში სრულს დამოუკიდებლობას. თავმჯდომარე, თავ. ვ. გ. მაჩაბელი, კითხულობს სკოლის საზოგადოების წესდებას და ამტკიცებს, რომ ის რეფორმები, რომელსაც ეს პროექტი თხოულობს, წესდებას ძირიანად სცვლის და იმ კრებას, რომელსაც მხოლოდ ოც-და-ხუთი კაცი შეადგენს, ნება არა აქვს განიხილოს და რომელიმე დადგენილება იქონიოს. ამისთვის საჭიროა წინდაწინვე გაზეთებში გამოცხადდეს, მრავალ-რიცხოვანი კრება შესდგეს და სხვ. ნ. ზ. ცხვედაძე ამბობს, რომ პედაგოგიურმა საბჭომ წესდების კანონი დაარღვია: იმის მაგივრად, რომ კომიტეტისთვის პროექტი საზოგადო კრების მოწვევის ერთის თვის წინად წარედგინა, იმან ორის დღის წინად წარმოადგინა და ამით კომიტეტს შეძლება არა ჰქონდა, პროექტი გაეცნოო. ამის შემდეგ ბ-ნი ცხვედაძე განუმარტავს კრებას, რა უფლებანი აქვს ამ სკოლას და უმტკიცებს, რომ, თუ ეს პროექტი კრებამ მიიღო, სკოლა დაიღუპება, რადგან ამჟამად სასკოლო მთავრობის წინაშე პასუხის-მგებელია კომიტეტი, მაშინ კი პედაგოგიური საბჭო იქმნებაო. თავმჯდომარემ დაადგინა კითხვა: აქვს თუ არა ნება დღევანდელ კრებას ამ საგანზე მსჯელობა იქონიოსო. გ. რცხილაძე, მასწ. მიქაბერიძე, ვ. რცხილაძე და სხვანი ამტკიცებენ, რომ წესდება აქ არაფერს შუაშია და იმით, რომ პედაგოგიურ საბჭოს ავტონომია მიენიჭოს, არც წესდება შეიცვლება, არც კომიტეტი გაუქმდება, ეს ადვილი მოსახერხებელია და სკოლას ამ მხრივ არავითარი ხიფათი არ მოელისო.

ბევრის კამათის შემდეგ, თავმჯდომარემ კენჭი უყარა შემდეგს კითხვას: განვიხილოთ პროექტის ეს მუხლი არსებითად თუ არა? კრებამ ხმის უმეტესობით, ერთის, ვ. რ. ყიფიანის წინააღმდეგ, ეს კითხვა მიიღო და საკითხის არსებითად განხილვას შეუდგა.

კამათი 5 საათამდის გაგრძელდა და უდრო-უდრობის გამო კრება დღეისთვის გადაიდო.

ბიბლიოგრაფია

მაგდანა და სხვა ახალი ლექსები, ვასო თუმანიშვილისა. ფასი 5 კაპ.

ქვეყნის უსამართლობას ჩივის თუმანიშვილი; „შემთხვევა რომ ნებას აძლევდეს", გაიქცეოდა სადმე, მაგრამ სად? „მიმართოს რომელ მხარესა, როდესაც იცის, რომ ყველგან ძმა დას არ უღებს კარებსა". რაღაც დიდი ბურჯი, „უფსკრული რამ საშინელი", დასწოლია ქვეყანას და იმას შეუქმნია ამოდენა უსამართლობა. მართალია, ამ ბურჯის კედელი უკვე იფხვნება და ზრიალი გააქვს, მაგრამ, თუ ჩვენც არ შევეცადენით, კიდევ დიდ ხანს იდგება ამართული:

თუ გვიხსნის, ისევ ჩვენ ჩვენი
ძმობა და ამხანაგობა,
თოხი და ბარი, წერაქვი,
ბრძოლა, ერთი ხმა, ერთობა..

ჩვენ კი ვსხედვართ გულხელ დაკრეფილი და ვნატრობთ,—ნეტავ ღმერთმა ქადა-ნაზუქი ჩამოყაროსო! მაგრამ

ამ დროში ნატვრა, ძმაოვ,
არავის ასრულებია:
სასწაულთ მოქმედებანი
ტყუილი დანაყბედია...

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს სომხებსა და თათრებს შორის დამოკიდებულება ძალზე გამწვავდა და საჭიროა, რომ საზოგადოების შეგნებულმა და კეთილგონიერმა ნაწილმა შეძლებისა დაგვარი ზომები მიიღოს ამ უგუნურ მტრობის მოსასპობად, ქ. ბაქოში დაარსდა დამამშვიდებელი კომიტეტი, რომლის წევრებადაც არიან ყველა ეროვნებათა წარმომადგენელნი. აქცევს რა დიდ ყურადღებას პრესსას, იცის რა, როგორის გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ჟურნალ-გაზეთებს, რომლებშიაც (ზოგიერთში), სამწუხაროდ, დაბალ ხალხის ამაღელვებელი წერილები დაიბეჭდა, კომიტეტმა, 24 ივნისის კრებაზე, გადასწყვიტა: მიჰმართოს ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელებს და, მათ შორის, თქვენც, მოწყალეო ხელმწიფევ, და გთხოვოთ, ხელი შეუწყოთ ხალხში მშვიდობიანობისა და სიყვარულის დამამყარებელ იდეათა გავრცელებას და არ ინებოთ ისეთის რამის დაბეჭდვა, რომელიც აღელვებს და ამხედრებს ამ ორ ეროვნებას. ამასთანავე გთხოვთ დაგვისახელოთ ბაქოში მცხოვრები თქვენი თანამშრომელი, რომელიც უნდა ესწრებოდეს კომიტეტის კრებებს.

დავშთებით თქვენი პატივისმცემელნი: ფ. ბიკოვი, ა. ალიევი, მ. გ. გაჯინსკი, ტ. ზახარიანი და გ. ენგიბაროვი.

II

ბატონო რედაქტორო! 25 ივნისს, ევტიხი ბესარიონის ძის მამინაიშვილის დასაფლავების დროს, მისმა პატივისცემლებმა მოინდომეს, ძველ ტრადიციების ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ—გვირგვინის ყიდვის მაგიერ, შეწირვა წვლილისა რაიმე სასარგებლო საქმისათვის. ერთ-ერთ ასეთ სასარგებლო საქმის მსახური დაწესებულებაა ჩვენში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" და შემომწირველებმა ამ საზოგადოების სასარგებლოდ ისურვეს თავის წვლილის გაღება. გიგზავნით ას ორ მანათს და 50 კაპ. (102 მან. 50 კაპ.) ხსენებულ საზოგადოებისთვის გადასაცემად და გთხოვთ თქვენს გაზეთში დაბეჭდოთ ეს ჩემი წერილი და სიაც შემომწირველთა, რათა სხვებმაც, ვისაც სურვილი ჰქონდეთ, როგორც ზოგიერთებმა განაცხადეს ევტიხი მამინაიშვილის დასაფლავების შემდეგ, მონაწილეობა მიიღონ ამ სიმპატიურ დაწესებულებაში.

დ. დავითაშვილი.

შემოსწირეს: ილ. ფერაძემ, იასე რაჭველმა, ისიხი ნაკაშიძემ, ნიკიფორე მამინაიშვილმა, ელისაბედ აბრამიშვილმა, ექვთიმე ხელაძემ—ხუთ-ხუთი მან.; დ. დავითაშვილმა, მღ. იოსებ ჩიჯავაძემ, მღ. ილ. ჯაშმა, მელქისედეკ მახარაძემ, მღ. სტეფან ბერიძემ, ალექსი დავიდოვმა, დავით ალსაბაძემ, მღ. ევ. ჯიოშვილმა, არქიმანდრიტმა გიორგიმ—სამ-სამი მან.; მღ. ის. ჩეკურიშვილმა, მელქისედეკ გიორგისძე ნაკაშიძემ, ს. გორგაძემ, მღ. კონტრიძემ, ნიკოლოზ ღირსიაშვილმა, გერასიმე იმნაიშვილმა, ს. მგალობლიშვილმა—ორ-ორი მან.; დეკ. ნ. თალაკვაძემ, დეკ. ა. თოთიბაძემ, მღ. კ. ცინცაძემ, ალექსანდრე არდაზიანმა, მ. ჯანაშვილმა, ივ. რატიშვილმა, ივანე დეკანოზოვმა, მღ. თ. ლაფერაშვილმა—თითო მან.; ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრებმა ბაქოში 24 მან. 50 კაპ., სულ 102 მან. 50 კაპ. *)

III

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არა ვარ იმ დეპეშის გამომგზავნი, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიის" № 106.

ის.—არიძე.

რედაქცია ამოწმებს, რომ მოხსენებული დეპეშა ჩვენის კორესპონდენტ ის.—არიძის გამოგზავნილი არ არის.

---

*) ეს ფული მივიღეთ და უკვე გადავეცით დანიშნულებისამებრ. რედ.

კორესპოდენცია

სოფ. კურსები, 28 ივნისი. თუმცა ჩვენი სოფელი ქუთაისიდან შვიდი ვერსის მანძილზედა ძევს, მაგრამ გლეხთა მოძრაობამ ვერ აჩინა თავი. ამ სოფელში თავად-აზნაურები არა სახლობენ, გლეხობა კი ყველა წვრილი მესაკუთრეა. მცხოვრებლებს მიწა არ ყოფნით და ბევრი მათგანი იძულებულია სახნავ-სათესად სხვაგან წავიდეს: ისინი მიდიან სოფ. კვახჭირს და მის მიდამოებში, მდ. წყალ-წითელას ნაპირებზე და იქაურ მემამულეებისგან მიწას წლიურად ქცევობით ქირაობენ. ხსენებულ ადგილებში სიმინდი კარგი მოდის, მაგრამ იქ მოყვანილი სიმინდი ჩვენებურს გლეხს ძვირად უჯდება: 60 კ.—70 კაპ. ფუთი; რადგან გზები ცუდია და კარგა შორს მანძილიც არის (15 ვერსი), შემოდგომაზე იქიდან სიმინდის მოტანა ძნელია.

თუმცა სოფ. კურსები ოკრიბის მხარეში ერთ საუკეთესო სოფლად ითვლება, მაგრამ მცხოვრებლებს მეოთხედს არ ყოფნის მჭადი და იძულებულნი არიან წვა-დაგვით იყიდონ სიმინდი. ახლა ფუთი სიმინდის ფასი ექვს აბაზზე ავიდა. ზოგიერთი ოჯახები მშივრები რჩებიან, რომ სასყიდელი ფული ვერ უშოვნიათ.

ამას წინად აქ ადგილობრივმა ბოქაულმა კურსების საზოგადოების ყრილობა მოახდინა. მშვენიერი სამუშაო ამინდი იყო. კომლზე ერთი კაცი უნდა გამოცხადებულიყო. ვინც არ მოვიდოდა, დაისჯებოდა. ბოქაულმა ნაშუადღევს გამოუცხადა ყრილობას: არამცა და არამც უკმაყოფილება და საყვედური არაფერზე განაცხადოთ, ძალიან კარგად ცხოვრობთ და კმაყოფილი იყავით; გარდასასახადები თავ-თავის დროზე წარადგინეთო. დრამის ფული მღვდელს უსათუოდ მიეცით. ვინიცობაა თუ მღვდელმა უარი სთქვა და არ მიიღო დრამა, დასჯილი იქნებაო. დრამის ფულის გარდახდაზე ყრილობამ ერთხმად უარი განაცხადა: არ შეგვიძლია და დრამის ფულს ვერ გარდავიხდითო. ჩვენ ვერ გაგვიგია, რისთვის აძლევს ბ. ბოქაული მღვდლებს დრამის ფულს? თუ რომ მღვდლები შევლენ თავის მრევლის მდგომარეობაში ხებით, არ დაარბევენ მას, ბ. ბოქაული რა საწინააღმდეგო მოქმედებას ჰპოვებს მღვდლებსა და ერს შორის ასეთ განწყობილებაში.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ჩვენი მხრის საბლაღოჩინოს მღვდლებმა დიდი ხმის უმეტესობით დაადგინეს, ხალხს დრამის ფული არ მოსთხოვონ.

ეს ორი კვირაა, აქეთ საშინელი ნიაღვრებია. ნახნავ-ნათესებს ბევრი ზიანი მიაყენა. სიმინდის ყანები, ბოსტნები ბევრი წაღეკა და გზები გააფუჭა. ბოლოს დროს ამოვარდა აღმოსავლეთის ქარი საშინელის ძალით და ხეხილი სულ დაბერტყა.

ჩვენს მხარეზე ახირებული ადათი აქვს ხალხს მიღებული,—პარასკევ დღეს მიწას ხელს არ ახლებენ, ასე რომ, კვირაში ორი დღე გამოდის უქმე. წინანდელ უამინდობასთან ეს ჩვეულება ძალიან ზარალს აყენებს ხალხს.

ერთ გლეხს ორი ვაჟი, კარგა ხანია, ავადა ჰყავდა. არავის არ ელაპარაკებოდენ და კაცის დანახვას ერიდებოდენ. ამ ბოლო დროს უფროსი (20 წ.) ჭკუაზე შეშდა. საშინელი სანახავი იყო, როცა ტანისამოსს იგლეჯდა და ყვიროდა. შეკრეს თოკით და ქუთაისში მოსარჩენად ვიღაც კერძო კაცს წაუყვანეს. ამას წინად ლეჩხუმიდანაც ჩამოატარეს ჭკუაზე შეშლილი ქალი, მოწამეთას მიჰყავდათ სალოცავად. განსაკუთრებულად. დედა და შვილი იყვნენ. შვილის-შვილი სალდათად წაუყვანიათ. სალდათის დედას ჯავრზე ჭკუა შეშლია. ასევე დამართნია სალდათის ბებიას.

კ. წაბლარელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

2 ივლისი.

სიტიაზა, 1 ივლისი. აქ ყველაზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს გაზეთების ცნობა, ვითომც ხალხი შეშინებული იყოს, პირ-იქით ყველა დარწმუნებულია გამარჯვებაში.

გოძადანი, 1 ივლისი. იაპონიის მატარებლები ახლა სადგ. ჩანტუფუმცი მიდიან. ჩრდილოეთით იაპონელები ხელახლად იწყობენ ლიანდაგს, რომელიც კოლომოვის რკინის გზის ბატალიონმა დაშალა: ხიდი ჩანტუნუს ჩრდილოეთით იაპონელებმა შეაკეთეს.

სიტიაზა, 27 ივნისი. უკანასკნელ ხანებში იაპონელებს მრავალი მოსდით მაშველი ჯარი.

ვლადივოსტოკი, 1 ივლისი. ამ თვეში იაპონელთა ნაღმიანი გემები დასაზვერად ოთხჯერ მოსულა პუტიატინის ნაპირებისკენ. მათი ბაზა გენზანია, სადაც გემები ჯარის გადაყვანას სდარაჯობენ.

გუნჟულინი, 1 ივლისი. ჯარებში არავითარი ცვლილება არ არის. კორეიდან იტყობინებიან, რომ შომენზე იაპონელების დიდძალი ჯარი მოდის. გუნჟულინში სიწყნარეა. დიდი სიცხე, რომელიც ამ ბოლო დროს იყო, მრავლად იწვევს კუჭის ავადმყოფობას ჯარში.

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. ტოკიოდან მიღებულის ცნობებით, პრესსას უკვირს რუსეთის თანხმობა, რომ ჩინეთმაც იყოლიოს თავისი წარმომადგენელი ვაშინგტონში ზავის შესახებ მოლაპარაკების დროსაო; პრესსა ამაში ჰხედავს იაპონიისადმი ჩინეთის უნდობლობას, იმ იაპონიისადმი, რომელიც ესოდენ თავგანწირვით იბრძვის ჩინეთის ხელუხლებლობის დასაცველად, და ეს გარემოება სამწუხაროდ მიაჩნია. გამოითქვა აზრი, რომ რუსეთმა უსათუოდ ხელი უნდა დაიბანოს გირინის პროვინციაზე, თუ მართლა გულწრფელად სურს ზავის ჩამოგდება. ამერიკელები დიდს ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ როზენმა რუზველტი ინახულა არა ვაშინგტონს, არამედ იოსტერბეის, და ისიც ყოველგვარ ფორმალურ წესების შეუფარდებლად. ვიტტეს დანიშვნას სამშვიდობო კონფერენციაში რუსეთის მთავარ რწმუნებულად ამერიკელები ზავის მომხრე დასის გამარჯვებად სთვლიან.

პეტერბურგი 1 ივლისი. ოფიციალური. 17 აპრილის ბრძანების თანახმად, ებრძანა სენატს: 1) ეპატიოს სრულად დანაშაული იმათ, ვინც საჯაროდ აცხადებდა თავის მწვალებლობას და სამისო წესებს ასრულებდა 2) ვისაც აწ ჩაიდენს ამნაირსავე დანაშაულს, იმათ შესახებ საქმე არ დაიწყონ, სანამ სარწმუნოებრივ საქმეებზე ახალი კანონები არ გამოიცემა, ხოლოდ საჩივრის ვადაც არ იკარგება მანამდის. 3) ვინც უკვე ისჯება ამ დანაშაულისთვის, იმათ სასჯელი შეუმცირდეს ორი მესამედით. 4) ვინც სარწმუნოებრივ საქმეებზე კატორღაში გაგზავნილია, სასჯელი ნახევარად უნდა ეპატიოს.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 1 ივლისი საბირჟო საზოგადოების საერთო კრებამ მრეწველთა მომავალ კრებისთვის მოსკოვში აირჩია წარმომადგენლებად შიპოვი, ვოლკოვი, დელკოვი, კანდიდატებად იარკოვსკი, ზოლიაკი, სოლინი.

დონის-როსტოვი, 1 ივლისი. საბირჟო საზოგადოება მრეწველთა კრებისთვის მოსკოვში ორ წარმომადგენელს ირჩევს.

ვილნა, 1 ივლისი. კორვინ მილევსკის ნება დაერთო პოლონურ ენაზე გამოსცეს გაზეთი.

ბუხარესტი, 1 ივლისი. რუმინიის სააგენტო უარყოფს ცნობას, ვითომც „პოტემკინის" ზოგიერთი მეზღვაური რუმინიის მთავრობასთავის სამსახურში მიეღოს.

კალიში, 1 ივლისი „კალიშის გაზეთის" ხმა გავრცელებია, ვითომც სადგურ კალიშზე მთავრობას სახმარებლად შემოეღოს პოლონური ენაო. ახლა სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან რომ სამისო განკარგულება სადგ. კალიშზე არავინ არ მიუღია და რუსულის მაგიერად პოლონურის შემოღება უკანონობა არისო.

პეტერბურგი, 1 ივლისი ოფიციალური. უმაღლესი ბრძანება სენატს, ცხენების შესავსებად ჯარებში ვბრძანებთ გაიყვანონ ცხენები მოსკოვის, ვილნოს და ოდესის სამხედრო ოლქების სხვადასხვა ადგილებიდან.

ბელგრადი, 1 ივლისი. ამას წინად ნიშთან იარაღის საწყობს დაეცნენ. „შტამპაში" დაბეჭდილია, შეიარაღებული ხალხი სცდილობდა იაგოდინის მახლობლად თავას წამლის საწყობის გაძარცვასო.

ბაქო, 1 ივლისი მერკურის ქუჩაზე პეტერბურგის საერთაშორისო კომერციულ ბანკის კასსირს დაეცნენ, წაართვეს პორთფელი, რომელშიაც ქაღალდები ეწყო და 100 მანათი ფული. მძარცველები მიიმალნენ.

ლონდონი, 2 ივლისი. გერმანელების სინდიკატმა 200.000 გირვანქა სტერლინგად შეიძინა სამხრეთ ვალისში 2430 ჰექტარი ადგილი, რომელშიაც ქვანახშირია მრავლად.

კიშინევი, 1 ივლისი. გამოვიდა ნაფიც ვექილის მალსკის რედაქტორობით გაზ. „ბესსარაბეც"-ის პირველი ნომერი.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამალიც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან,

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ს- ღამის 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 მის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგ № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევ ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნა შუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.) 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამ 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) შუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) შუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ,
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113, ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისათვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრი- შვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—II)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოც.

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა.	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარა- თაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქარ- თველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა" **სოსიკო მერკვილაძე.** (20—

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურ- ველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის და- ლოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგ საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) საკო- **მერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და წერა **გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუ- ხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სად- გომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ- ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 іюля 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.